! ხვალ გვიან იქნება!

დამნაშავე და მოძალადე ნაციონალები, ძვირფასო „ოცნებავ“, უწინარესად, თქვენმა ეგრეთ წოდებულმა „დემოკრატიულმა მოთმინებამ“ გაათავხედა. ქვეყანა აშკარად სამოქალაქო დაპირისპირების წინაშეა. სახელმწიფოს დროული პრინციპული ნაბიჯების გადადგმა მართებს, ასეთ ქაოსში ცხოვრება აუტანელი ხდება!

ასალაგმავი ძალები კანონის მთელი სიმკაცრით სასწრაფოდ უნდა აილაგმოს!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჯდუხი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიქებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 18 მარტი, 2015 წელი.

№50 (7695)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

სამართალდამცველები კანონდარღვევის ყველა ფაქტზე რეაგირებას ოპერატიულად მოახდენენ

შსს-ს განცხადება 21 მარტს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით

შსს 21 მარტს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი აქციის მიმდინარეობისას წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად მობილიზებულია. ამის შესახებ ნათქვამია უწყების განცხადებაში, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„21 მარტს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, არ დაარღვიონ საზოგადოებრივი წესრიგი და კანონის ფარგლებში იმოქმედონ. სამართალდამცველები კანონდარღვევის ყველა ფაქტზე რეაგირებას ოპერატიულად მოახდენენ და ყველა სამართალდამრღვევი პირი კანონის შესაბამისად დაისჯება. საქართველოს ხელისუფლება იცავს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას. შინაგან საქმეთა სამინისტრო მობილიზებულია 21 მარტს დაგეგმილი აქციის მიმდინარეობისას წესრიგისა და აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დასაცავად.

საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად გაწერს შეკრების და მანიფესტაციის წესებს.

კანონის თანახმად, აქციის მონაწილეებს ეკრძალებათ:

შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს; ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა; ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციით ან/და საგნებით გადაკეტვა; განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისათვის; შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება; ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი, ადვილად აალებადი, რადიოაქტიური ნივთიერების ან ცივი იარაღის ქონა; ისეთი საგნის ან ნივთიერების ქონა, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით; ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან/და მომწამვლელი ნივთიერებების ქონა; ალკოჰოლური სასმელების ქონა.

შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორები ვალდებულნი არიან:

დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ გაფრთხილებით ნაკისრი ვალდებულებანი; კანონის მოთხოვნათა დარღვევისას, მის აღმოსაფხვრელად მოუწოდონ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას; ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს.

სამართალდამცველთა უფლება-მოვალეობები:

პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა, უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება; სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებული არიან, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს; თუ ორგანიზატორმა არ მოუწოდა შეკრებისა და მანიფესტაციების მონაწილეებს და არ მიმართა ყველა გონივრულ ქმედებას, ან შეასრულა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა დარღვევა გონივრულ ვადაში, სამართალდამცავი ორგანოები უფლებამოსილი არიან დარღვევის აღმოსაფხვრელად, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გასახსნელად ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად მიმართონ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს“, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რამაზ საყვარელიძე:

21 მარტის აქციაში სერიოზული რყევების პოტენციალი არ ჩანს

3

ავთანდილ წულაძე:

რუსეთი საქართველოზე ეკონომიკურად და დიპლომატიურად ზემოქმედებს

7

სჯობს, ჯერ ჩვენი ხალხის დასაქმებაზე ვიზრუნოთ...

6

ჯარში კვების ხარისხი გაუმჯობესდება

5

აუშ და „ვარდების რევოლუცია“

- მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას აჭარიდან ეპოტინება
- რიჩარდ მაილსი იხსენებს...

8

იმ ტერიტორიის შესყიდვა, სადაც განსაკუთრებულ დავალებათა სამხარეო სამმართველო გაიხსნა, ვანო მერაბიშვილის მამას ერთ ლარად სურდა

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაბა ასპინძაში განაცხადა, სადაც პრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს შენობა გახსნეს და სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირად შემადგენლობას 10 წლის იუბილე მიულოცეს.

„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც მე მინდა, რომ საზოგადოებას განვუმარტო – ამ ადგილზე, ვიდრე ჩემი დავალებით ბაზას გავაკეთებდით, იყო მიტოვებული შენობა. ადრე იყო საბავშვო ბაღი, შემდეგ ვანო მერაბიშვილის მამას უნდოდა ამ შენობის, ამ ტერიტორიის შესყიდვა ერთ ლარად. უნდოდათ სასტუმროს გაკეთება, მაგრამ ველარ მოასწრეს, რადგან ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ რეგიონში არ იყო სპეცრაზმი, ამიტომ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს გახსნა მნიშვნელოვანია, რადგან თითოეულმა მოქალაქემ თავი უფრო მეტად დაცულად იგრძნოს.

„აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ ასზე მეტი ობიექტს რესტავრაცია, რეაბილიტაცია ჩავატარეთ. პრაქტიკულად ყველა სამხედრო ბაზა გარემონტდა და აღიჭურვა. სპეცრაზმელებს უფრო მეტი თანამედროვე შეიარაღება, ეკიპირება გადაეცათ. პოლიციელები და სპეცრაზმელები არიან განსაკუთრებული ხალხი. ისინი, პირდაპირი მნიშვნელობით, ტყვიაზე მიდიან, საკუთარ მოქალაქეებს იცავენ, სიცოცხლის რისკის ფასად მუშაობენ და სიცოცხლეს წირავენ. ამ განსაკუთრებულ ხალხს სახელმწიფოს და მთავრობის მხრიდან დაფასება სჭირდება. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველას დღევანდელ დღეს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

დავით უსუფაშვილი ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს

– სჯობს ჩვენი გაკეთებული საქმეებით, დავანახოთ საზოგადოებას უპირატესობა და ამით უკეთესად მოხდება ვიღაცეების რადარებიდან გაქრობა, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა „მაესტროს ცხრიანში“ განაცხადა. მისივე თქმით, ვინც ცდილობს, ნაციონალური მოძრაობა გააქროს გინდ ხელკეტით, გინდ კანონის არასწორი გამოყენებით და გულზე მჯიღის ცემით, ამით ნაციონალურ მოძრაობას მხოლოდ აძლიერებს.

„ეს ხალხი დღემდე მოვიდა, იმიტომ, რომ მათთან პოლიტიკური ბრძოლა ძალიან ხშირად არასწორად დაგეგმილი და გათვლილი იყო. თუ ჩვენ მიზნად დავისახავთ რომელიმე პოლიტიკური პარტიის – ნაციონალური მოძრაობის ან თუნდაც „რესპუბლიკური პარტიის„ გაქრობას, პოლიტიკურად „რესპუბლიკურ პარტიას“ ეს მხოლოდ აძლიერებს. ამიტომ მივმართავ ყველას, ვინც „რესპუბლიკური პარტიის“ განადგურებით არის დაკავებული, გააგრძელეთ. ეს არის პოლიტიკის კანონი. თუ გინდა პოლიტიკური ოპონენტის დამარცხება, ის არ უნდა აქციო მნიშვნელოვან მოვლენად, მას არ უნდა მიაწერო იმის კეთებაც კი, რაც არც კი დასიზმრებია, რომ ყველაფერს ის აკონტროლებს, რომ ყოვლისშემძლეა. ბოლოს და ბოლოს, ხალხი გიყურებს და ფიქრობს, კი მაგრამ, თუ ის არის ყოვლისშემძლე, შენთან რა მინდა, იმასთან მივდივარ“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

გადაცემის წამყვანმა პარლამენტის თავმჯდომარეს ამ კონტექსტში პრემიერ-მინისტრის განცხადება გაახსენა, ნაციონალური მოძრაობის რადარებიდან გაქრობასთან დაკავშირებით, რაზეც უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ პოლიტიკაში წინასწარმეტყველება უმადური საქმეა.

„მე ჩემს კოლეგას და მეგობარს ირაკლი ღარიბაშვილსაც მივმართავ, საკუთარ თავსაც მივმართავ, ჯობია ჩვენ ჩვენი გაკეთებული საქმეებით მეტად დავანახოთ საზოგადოებას ჩვენი უპირატესობა, ჩვენი სისწორე და საჭიროება ამ ქვეყნისთვის და ამით უკეთესად მოხდება ვიღაცების გაქრობაც, რადარებიდან წასვლა და პროცენტების დაწევა“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მარტვილში პარლამენტის შუალედური არჩევნები ოქტომბერში ჩატარდება

2015 წლის ოქტომბერში მარტვილის საარჩევნო ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნები უნდა ჩატარდეს. საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში, პარლამენტის შუალედური არჩევნები იმართება აპრილში ან ოქტომბერში. თუკი პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდა 15 თებერვლიდან 15 ივლისამდე, პარლამენტის შუალედური არჩევნები იმართება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდა 15 ივლისიდან 15 თებერვლამდე, მაშინ - უახლოეს აპრილში.

მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა-მაჟორიტარების წევრი ნაული ჯანაშია 68 წლის ასაკში, ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

◎ ინფორმაცია

„რუსთავი-2“-ის შეცდომა თუ მიზანმიმართული დეზინფორმაცია?

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი 15 მარტს ზუგდიდში მომხდარი დაპირისპირების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი სამეგრელო-ზემო სვანეთში უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ლაშა გვასალია მოხსენიებულია როგორც სამეგრელო-ზემო სავნეთის გუბერნატორის მოადგილე.

„ორი დღეა ცალკეულ მედიასაშუალებებში და ცალკეული პოლიტიკოსების მხრიდან ვრცელდება ინფორმაცია, რომ 15 მარტს ზუგდიდში გამართულ აქციაში მონაწილეობდა ლაშა გვასალია, რომელიც მოხსენიებულია, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე. ვაცხადებთ, რომ ლაშა გვასალია არ არის გუბერნატორის მოადგილე და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში არც ერთ თანამდებობაზე არ მუშაობს.16 მარტს, ჩვენი მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ ლაშა გვასალია არ არის ჩვენი თანამშრომელი, მიუხედავად ამისა, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში იგივე „შეცდომა“ დაუშვა. გუბერნატორის ადმინისტრაცია მედიასაშუალებებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან და არ შეიყვანონ მაყურებელი შეცდომაში. ასევე ზოგიერთმა პოლიტიკოსმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს აქციაში მონაწილეობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე კობა ქანთარია, რაც ასევე სიცრუეა“.

ანი ნადარეიშვილს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი ორგანიზაცია „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის მიერ გავრცელებულ ბრალდებებსაც გამოეხმაურა. განცხადების მიხედვით, გუბერნატორის პრესსამსახურის უფროსი პაატა ლაგვილავა აპირებს ანი ნადარეიშვილს ცილისწამებისთვის სასამართლოში უჩივლოს.

„ორგანიზაცია „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ანი ნადარეიშვილმა გამოაქვეყნა იმ პირების სია, ვინც თითქოსდა მათ თავს დაესხნენ. ამ სიაში ანი ნადარეიშვილმა შეიყვანა გუბერნატორის პრესსამსახურის უფროსი პაატა ლაგვილავა. ვაცხადებთ, რომ პაატა ლაგვილავა არ მონაწილეობდა აქციაში და ანი ნადარეიშვილი განზრახ ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. მთელი დღის განმავლობაში ვთხოვდით ნადარეიშვილს, გამოექვეყნებინა ფოტო ან ვიდეომასალა, სადაც პაატა ლაგვილავას ძალადობა იქნებოდა აღბეჭდილი, თუმცა, ის მასალას ვერ წარმოადგენდა მარტივი მიზეზის გამო – მსგავსი ფაქტი და შესაბამისად კადრებიც არ არსებობს. პაატა ლაგვილავა ანი ნადარეიშვილს ცილისწამებისთვის სასამართლოში უჩივლებს“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

განახლებული მიწისქვეშა კომუნიკაციები დიდუბეში

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ დიდუბის რაიონში მიწისქვეშა კომუნიკაციების მოძველებულ და ამორტიზებულ მონაკვეთებს ახლით ცვლის.

გაფრინდაულის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები, აპრილის შუა რიცხვებში დასრულდება. კომპანიის ინფორმაციით, ქსელების რეაბილიტაციის შედეგად, მაცხოვრებლების წყალმომარაგება უფრო საიმედო გახდება. კომპანიის ტექნიკური დირექტორის მოადგილემ ომარ გოცირიძემ მიმდინარე სამუშაოები დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილეს ზურაბ უგულავას დაათვალიერებინა.

საერთო ჯამში, წყალსადენისა და კანალიზაციის ყველა დიამეტრის ხანდაზმული ქსელი მთლიანად განახლდება, მოეწყობა ახალი საკვანძო ჭები და ახალი ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდულები დამონტაჟდება. შესაცვლელი მილების საერთო სიგრძე 400 მეტრია.

ამ ეტაპზე რეაბილიტაცია უტარდება საკანალიზაციო 150-მეტრიან ქსელს, უახლოეს დღეებში კი ახლით შეიცვლება წყალსადენის 250-მეტრიანი ქსელიც და მთლიანად განახლდება მწყობრიდან გამოსული ყველა განშტოება. გოცირიძის თქმით, კომპანია წყალსადენის განახლებულ ქსელებზე ასევე 4 ახალ ჩამკეტ ურდულს დაამონტაჟებს და წყალსადენის 4 ახალ საკვანძო ჭას მოაწყობს, საკანალიზაციო ქსელზე კი, პარალელურად 3 ახალი საკვანძო ჭა მოეწყობა.

წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის განახლების შემდეგ დიდუბის რაიონის გამგეობა ქუჩაზე სამანქანო და სავალი გზის მონაკვეთების რეაბილიტაციასა და ასფალტის საფარის დაგებას უზრუნველყოფს.

◎ სიახლე

რაც პენსიონერებს წაადგებათ

სახელმწიფო საპენსიო ფონდის მართვას უცხოურ კერძო კომპანიას ჩააბარებს

მთავრობაში დაგროვებით პენსიაზე გადასვლას 2017 წლისთვის ვარაუდობენ, რეფორმის საბოლოო ვერსია კი წლის ბოლოსთვის დაიდება.

საპენსიო რეფორმების სამსახურის ხელმძღვანელის ოთარ ძიძიკაშვილის განცხადებით, საპენსიო რეფორმის ჯგუფი მუშაობს ინფლაციური რისკების დასაბალანსებლადაც. ამ თემაზე კითხვები ექსპერტებსაც აქვთ, რომლებსაც საპენსიო რეფორმის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

„დიდი სიფრთხილეა საჭირო ასეთი ფონდის შექმნისას, არსებობს ბევრი პრობლემა როგორიც არის ფონდის რისკიანობა, რამდენად დაცული იქნება ეს აქტივები, რამდენად დაცული იქნება მომხმარებელი ინფლაციური პროცესებისგან. ამ საკითხებზე ვმსჯელობთ და ვმუშაობთ, როგორ უნდა მოხდეს ამის დაბალანსება“, – აცხადებს იგი.

საპენსიო ფონდის გააქტიურებასთან ერთად მუშაობა მიმდინარეობს კაპიტალური ბაზრის ახალი ინსტრუმენტების ამოქმედებაზეც, რადგანაც ფონდში აკუმულირებული სახსრები კომპანიამ შემოსავლის წყაროდ უნდა აქციოს და ინვესტირება მოახდინოს, რისი შესაძლებლობაც ახალი ინსტრუმენტის ჩამოუყალიბებლად ამ ეტაპზე არ არსებობს. ოთარ ძიძიკაშვილის ინფორმაციით, მსჯელობა მიმდინარეობს სხვადასხვა ვარიანტზე – გარდა საბანკო დეპოზიტებისა, სახელმწიფო და კორპორატიული ობლიგაციებისა, სხვა რა ინსტრუმენტები შეიძლება შეიქმნას.

რაც შეეხება საპენსიო ფონდის მმართველს, ძიძიკაშვილის ინფორმაციით, ეს იქნება უცხოური კერძო კომპანია, რომელსაც მსგავსი ფონდის მართვის გამოცდილება აქვს. ამ ეტაპზე არც ერთ კომპანიასთან მოლაპარაკებები დაწყებული არ არის, რადგანაც რეფორმის დეტალები ჯერ ისევ მუშავდება.

„მას შემდეგ, რაც გვექნება დაზუსტებული ყველა დეტალი, შემდეგ დავიწყებთ კამპანიას და ფონდებთან ურთიერთობას, ვინაიდან ჯერ დეტალები არ ვიცით, შეთავაზებასაც ვერ ვაკეთებთ“, – აცხადებს ოთარ ძიძიკაშვილი.

ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული, ხელფასის რამდენი პროცენტი შეიძლება გადარიცხოს დასაქმებულმა საპენსიო ფონდში, მაგრამ რეფორმაზე მომუშავე ჯგუფი ფიქრობს, რომ თვეში მთლიანად გადარიცხული თანხა ხელფასის 6%-ზე ნაკლებს არ უნდა შეადგენდეს, სადაც სახელმწიფო და დამსაქმებელიც თანაბრად შეიტანენ თავიანთ წვლილს. ასეთ შემთხვევაში თუ ხელფასის 2%-ს თავად პენსიის დამგროვებელი გადაიხდის, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს დამატებით 2%-2%-ის გადახდა დაეკისრებათ. შედეგად ყოველთვიურად საპენსიო ფონდში ბენეფიციარის ხელფასის 6% დაირიცხება.

დაგროვებითი პენსია საქართველოში ამჟამად არ არსებობს. ქვეყანაში სახელმწიფო პენსია მოქმედებს, რომელიც 150 ლარს შეადგენს. ამის პარალელურად მომხმარებელს დაგროვებით პენსიას სადაზღვევო კომპანიების დიდი ნაწილი სთავაზობს.

დაგროვებითი პენსიის რეფორმა უკვე რამდენიმე თვეა, მუშავდება. მასში ჩართული არიან მსოფლიო ბანკი, ასევე აზიის განვითარების ბანკი, ეკონომიკის სამინისტრო. შექმნილია უწყებათაშორისი კომისია, ჩართულები არიან ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, ეროვნული ბანკი და ა.შ.

სალომე მეცხვარიშვილი

რამაზ საყვარელიძე: 21 მარტის აქციაში სერიოზული რყევების პოტენციალი არ ჩანს

გვესაუბრება პოლიტოლოგი და ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე

— ბატონო რამაზ, გასაგები მიზეზების გამო, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობით გადაცემა „2030“-ის პირველი ეთერის მიმართ ინტერესი დიდი იყო. ნაციონალებზე განცხადებებს თუ არ ჩავთვლით, ექსპრემიერს მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე პრაქტიკულად არ უსაუბრია. გადაცემიდან შევიტყვეთ, რომ მალე ვიხილავთ 60 ახალ ანალიტიკოსს, რომლებიც საზოგადოებას დაეხმარებიან არჩევნების დროს არჩევანის სწორად გაკეთებაში. თქვენ როგორ შეაფასებდით გადაცემა „2030“-ის პირველ ეთერს და მასში გამოთქმულ მოსაზრებებს?

— როგორც თავად აღნიშნეთ, გადაცემა „2030“-ში აქტუალური პოლიტიკური თემები არ გაანალიზებულა, რადგან პირველი გადაცემა მიზნების და ახალი სახეების გაცნობას მიეძღვნა. ჩამოყალიბებული მიზნებიდან განსაკუთრებით საშურად მიმაჩნია სპეციალისტების მიერ სტრატეგიული გეგმების შემუშავება სხვადასხვა მიმართულებით — ამის დეფიციტი ყოველთვის გვქონდა. რაც შეეხება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, შეუძლებელია, არ დაეთანხმო გადაცემის ავტორებს, რომ ესეც ძალზე მნიშვნელოვანია დემოკრატიის, ანუ ხალხის მმართველობის გაუმჯობესებისთვის. ალბათ, სამომავლოდ ეს ჯგუფი ჩაატარებს სოციოლოგიურ გამოკვლევებს იმის დასადგენად, თუ რა დონეზეა დღეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის პოლიტიკური კულტურა და რა ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო მისი ამაღლებისთვის. ეს ხელს შეუწყობს გადაცემის ეფექტიანობას. ამგვარი გამოკვლევა იმასაც გახდის ცხადს, რამდენად ქმედითია ნაცმოძრაობის პროპაგანდა, რასაც დიდი ადგილი დაეთმო ამ გადაცემაში.

ინტენსიური პროპაგანდა შედეგიან პროპაგანდას არ ნიშნავს — კომუნისტებს ძალზე ინტენსიური უალტერნატივო პროპაგანდა ჰქონდათ, მაგრამ სისტემა შეირყა თუ არა, მათი მხარდამჭერი არავინ დარჩა. მე მეეჭვება, რომ ნაციონალების პროპაგანდა ქმედითი იყოს და მასთან კამათი, მგონია, რომ ზედმეტი პატივია ამ პარტიისთვის. თუ ხელისუფლების მიმართ ნდობის პრობლემა ჩნდება (რაც გამოსჭვივის გადაცემის შექმნის მიზნებში), მისი არსის და მიზეზების დადგენასაც გამოკვლევა უნდა. ესე იქცევიან დასავლეთის იმ ქვეყნებში, რომლებისკენაც მივისწრაფვით.

რაც შეეხება ახალ სახეებს, მათ ჩემზე კვალიფიციური და სანდომიანი ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს და ვუსურვებ, ადვილად მიეღწიოთ დასახული მიზნებისთვის. განსაკუთრებით ვგულშემატკივრობ არჩილ გამზარდიას, რადგან მიყვარს მისი ცოცხალი ინტელექტი. ვუსურვებ, მოეხერხებინოს წამყვანის და მოპაექრის განსხვავებული როლების შეთავსება.

— თუ 60 ახალი ექსპერტი ეყოლება ქვეყანას, პრესა მხოლოდ მიესალმება, მაგრამ მოგეხსენებათ, თავისუფალი პრესა ისეთი რამაა, კვალიფიციური აზრის მქონე ადამიანს თავად ეძებს ხოლმე, რაც ჩვენს ქვეყანაში არც ისე იოლი საქმეა. გადაცემაში არაერთხელ ითქვა, რომ ახალი ექსპერტები საზოგადოებას ღრმა ანალიზის შემცველ მოსაზრებებს გააცნობენ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, თუ ახალ ხელისუფლებას, როგორც ითქვა, ამდენი „კვალიფიციური და კრეატიული ახალი ექსპერტი“ ჰყავს, რატომ ვერ ახერხებს საინფორმაციო სივრცეში წარმატებული საინფორმაციო პოლიტიკის წარმართვას?

— ამ კითხვას უფრო ფართოდაც დავსვამდი. თუ ექსპერტების ასეთი მობილიზაცია, მით უმეტეს ახლისა და კრეატიულის მოახერხა ამ ჯგუფმა, რაც უდაოდ მისასალმებელია, მაშინ, ხომ არ იქნებოდა უპრიანი ამ ჯგუფმა თავის მიერვე უკვე შემუშავებული სტრატეგიები ჯერ მთავრობას მიაწოდოს და ჩვენში გაჩნდეს იმის განცდა, რომ ამ მთავრობას სტრატეგია აქვს, იციან, საით მიჰყავთ ქვეყანა? ხშირად თქმულა მთავრობის მიმართ, რომ ასეთი სტრატეგიის არსებობა არ ჩანს. როცა სტრატეგია არსებობს, შემდეგ წარმატებულ პიარზე გადასვლა, პრაქტიკულად ერთი ნაბიჯის გადადგმასღა ითხოვს.

— პროცესები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ელვის სისწრაფით ვითარდება. გასაგებია, რომ საგარეო ასპარეზზე პროცესების განვითარება ჩვენზე ნაკლებად არის დამოკიდებული და ახლა ჩვენი ამოცანაა, საშინაო პოლიტიკაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს ხელისუფლებამ, პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციამ ადეკვატურად უპასუხონ. თქვენ როგორ შეაფასებდით საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს? თუნდაც, პრეზიდენტის მიერ მოწვეული საპარლამენტო სხდომის უმრავლესობის მიერ ჩაშლას, როგორც თქვენი კოლეგა სოსო ცისკარიშვილი ამბობს — „პირველი პირების შეუთანხმებლობა სახელმწიფოს პრობლემად იქცა“...

— ამ ნაბიჯებს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გამარჯვებად ვერ შევაფასებ. პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილებაზე შეიძლება იფიქრო, შეთანხმებულიც კი იყო, რომ თუ ის, როგორც პრეზიდენტი, მხარს დაუჭერს უმცირესობას, უმრავლესობა გამოიყენებს უფლებას, სხდომას არ დაესწროს, ანუ ამით კატასტროფა არ დატრიალდება და პრეზიდენტიც უმცირესობის მხარდამჭერი იქნება. ამგვარი ვარაუდის საფუძველს ისიც მაძლევს, რომ ძალიან გახშირდა ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარგველაშვილისთვის ნაციონალების მხარდამჭერის იმიჯის მიწეპების მცდელობა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოაყენა ისეთი კანდიდატურა, რომელიც ყველაზე უფრო მეტ უკმაყოფილებას ნაციონალებში იწვევს. ამიტომ მარგველაშვილის ამ ნაბიჯში პოლიტიკური ორიენტაცია შეუძლებელია, რომ დავინახოთ.

— ცალკე საუბრის თემაა 21 მარტისათვის ნაციონალების მზადება. ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესები მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მდგომარეობა კონფრონტაციულ რეჟიმში გადადის. ექსპრემიერის განცხადებით — ნაციონალები ყველაფერზე არიან წამსვლელები, მაგრამ საშუალება არა აქვთ და არც ექნებათ“. დეპუტატი გიორგი გაბაშვილი აცხადებს — „ხალხმრავალი, მშვიდობიანი საპროტესტო აქციებით ვაპირებთ წერტილი დავუსვათ ოლიგარქის სამარცხვინო მმართველობას“. თქვენ როგორ შეაფასებდით, ნაციონალების მზადებას 21 მარტისათვის და რამდენად არის მზად ხელისუფება, ქვეყანას ააცილოს რყევები და ვითარების არევა?

— ალბათ, მზად არის რყევების აცილებისთვის, მაგრამ მე, ხელისუფლებისა არ იყოს, დიდად არ მჯერა, რომ 21 მარტის აქციაში სერიოზული რყევების პოტენციალი იყოს. ამის მიზეზი ბევრია, რომელთა ჩამოთვლას ახლა არ შევუდგები. მაგრამ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ 21 მარტს ხელისუფლების გადაყენება წესით ნაციონალების მიზანი არ უნდა იყოს. მათ კარგად იციან, რომ ასეთი აქციებით ხელისუფლება არ იცვლება. „ვარდების რევოლუციისთვისაც“ კი განწყობების მომზადებას რამდენიმეწლიანი შრომა დასჭირდა, რომ შემდეგ მომხდარიყო ის, რაც მოხდა. ჩემი აზრით, ერთი გამოსვლით ხელისუფლების გადაყენების იმედი მათაც არ უნდა ჰქონდეთ. თუკი ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით გამართულ აქციას ხელისუფლება რაიმე რეპრესიული ნაბიჯით უპასუხებს, მოგებული აქციის ორგანიზატორები დარჩებიან, ვინაიდან, ჩემი აზრით, ისინი აქციასაც იმისთვის მართავენ, რომ ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვას და მათ მომხდარი პოლიტიკურ რეპრესიებად გაასაღონ. ფაქტია, რომ ხელისუფლება 21 მარტის აქციის დარბევაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს. ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა იყოს ფრთხილი, მაგრამ ამავე დროს პრინციპულიც. ნაციონალების ხელისუფლების მთავარ ალტერნატივად წარმოჩენა საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში გაღიზიანებას გამოიწვევს. ხელისუფლებამ ამასაც უნდა გაუწიოს ანგარიში.

— რეალური დემოკრატიის გაძლიერება-გაღრმავებისთვის ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა საინტერესო მოსაზრებები კი გამოთქვა, მაგრამ, იმავდროულად, დასძინა — „თუ მოსახლეობა სწორად ვერ შეაფასებს ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს, შეიძლება ახალი ტიპის უბედურება მივიღოთ“. მას არ დაუკონკრეტებია, რა ჰქონდა მხედველობაში. ჩვენ რა შეიძლება ვიგულისხმოთ და ვივარაუდოთ?

— სავარაუდოა, რომ ზედმეტი მოლოდინების ფონზე იმედგაცრუებაც ძლიერი ხდება და იმედგაცრუებულმა ხალხმა შესაძლოა, დესტაბილიზაციისკენ გადადგას ნაბიჯები. ექსპრემიერის განცხადებებში იყო ასეთი ფრაგმენტიც — შესაძლოა, ხალხმა არჩევნებს არც დაუცადოსო. ეს ახალი უბედურება და იმაზე ჯვრის დასმა იქნება, რასაც დიდ დამსახურებად გვითვლის მთელი მსოფლიო, მხედველობაში მაქვს 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება.

— ხომ არ დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ ექსპრემიერი შეეცადა, შეემზადებინა საზოგადოება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის?

— ამგვარი შთაბეჭდილება მისი წინა განცხადებების გაკეთებისას უფრო დამრჩა. ადრე მას აქვს ნათქვამი, არ გამოვრიცხავ ვადამდელი არჩევნების ჩატარებასო. თუ არჩევნების კონტექსტში განვიხილავთ „2030“-ის გადაცემას, მისი მსვლელობისას არაერთხელ ითქვა, რომ მისი ერთ-ერთ მიზანია, მომავალი არჩევნებისთვის საზოგადოება ისე იყოს განწყობილი, როგორც ამას ივანიშვილი მიიჩნევს. ხალხი ხედავდეს — სად არის სიმართლე და სად არა.

იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნები არც ისე შორსაა და პარტიებს მზადება დაწყებული აქვთ, ამ მიმართულებით ხელისუფლების გეგმები ადეკვატურია, თუ გვიანი არა. მაგრამ, ფაქტია, რომ ასეთი რამ ერთი გადაცემით არ კეთდება, უფრო დიდი ფრონტით არის ანალოგიური ამოცანა დასასმელი. პოლიტიკურ ომში მარტო სნაიპერი არ წყვეტს ომის ბედს. თუმცა სნაიპერიც მნიშვნელოვანია. ომის ბედს ის ცეცხლის ფრონტი წყვეტს, რომელიც შეიძლება ერთმა გაუხსნას მეორეს. ასე რომ, წერტილოვანი დარტყმებით არჩევნების, როგორც ფსიქოლოგიური ომის მოგება, პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ მასში სკანდალური რამეები არ იქნა ჩადებული, როგორიც იყო, მაგალითად, ციხის კადრები. ანალიტიკური მასალების შედეგები ამომრჩევლის ფართო სპექტრმა უნდა გაიცნოს. ვისურვებდი, რომ „ქართული ოცნების“ შტაბმა საზოგადოების ფართო სპექტრთან მუშაობაზე მეტი იფიქროს.

ესაუბრა
ბენო კოზაიძე

> **პოლიტიკურ ომში მარტო სნაიპერი არ წყვეტს ომის ბედს. თუმცა სნაიპერიც მნიშვნელოვანია. ომის ბედს ის ცეცხლის ფრონტი წყვეტს, რომელიც შეიძლება, ერთმა გაუხსნას მეორეს.**

◎ ალიან-ჩალიანი

ირმა ინაშვილი: ნაცისტებო, არ იქნება თქვენი დანდობა!

„კარგად ყოფილა ჩვენი ერის საქმე... მაგრამ მოკლე მეხსიერება გვაქვს, ეტყობა... ზოგიერთს ფრაგმენტები დაავიწყდა...“ — ამის შესახებ ჟურნალისტი ირმა ინაშვილი facebook-ის პირად გვერდზე წერს.

მისი აზრით, საზოგადოებას მოკლე მეხსიერება აქვს.

„ზოგი შორს იყო საქართველოდან... ზოგს დღესაც ინერციით ეშინია... ზოგი გვარწმუნებს —წარსული დაივიწყეთ და ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაიწყეთო... ეჰ, რამდენი „პროფესორია“ გარშემო, წმინდა მამებს რომ უსწრებს მიტევებაში და ვერც გაუგია, მიტევებას ვინ იმსახურებს და ვინ — არა... 2 წლის წინ რომ დასჯილიყვნენ, დღეს ასეთ „გორლაზე“ ვეღარ იქნებოდნენ, მაგრამ... ჩემი პასუხი ასეთია: ნაცისტებო, არ იქნება თქვენი დანდობა. არც არაფერი დამვიწყებია და არც ვაპირებ დავიწყებას. „ოცნებას“ უმადლოდეთ, თორემ თქვენი ბუმბულიც აღარ იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში და მალე ასეც მოხდება... ასე რომ, მოემზადეთ“, — წერს ინაშვილი.

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩაზები

● **აკაკი მინაშვილი გაუჭყლეტიათ, აწი ნახეთ წვიმები.**

● **ერთი ფრაგმენტი გამახსენდა გოდერძი ჩოხელის ფილმიდან „ადამიანთა სევდა“. უკუსვლით რომ შედიან ერთ-ერთ სოფელში და „ჰაიტ თქვე კულტურულებოო“ რომ დასჭყივიან.**

ინგა და კიკალიშვილი თავიანთი „ბრიგადებით“ რომ მიუვარდნენ ჯდს-ში უკუსვლით და დასჭყივლონ „ჰაიტ თქვე აკადემიურებოო“, მაგარი იქნება.

● **თურმე ბატონი ბიძინა გადაცმული დადიოდა ქუჩებში და ანალიტიკური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს ეძებდა.**

რაც შეეხება მედიის თავისუფლებას, რომელიც თურმე იტალიაზე, საბერძნეთსა და ისრაელზე უკეთესი გვქონია, ვიტყვი, რომ მედიის თავისუფლების განმსაზღვრელი უპირველესად არის სარეკლამო ბაზრის თავისუფლება და არა ის, თუ როგორი „თავისუფალია“ ზოგიერთი გადაცემა და წამყვანი.

ასევე უმთავრესია ბეჭდურ მედიასთან და იქ გამოქვეყნებულ მასალებთან სახელმწიფოს დამოკიდებულება (აქ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ მეზარება).

● **ნეტა რამდენ თანხას დახარჯავენ 21-ში ნაცები: 1. ხალხის მოყვანა 2. პიარი 3. პროვოკატორები 4. მოტეხილი ფულები დ.ა.შ.?**

● **არის რამდენიმე ქართული ტელეშოუ, რომლებში (თანა)მონაწილეობაც ერთგვარი ლუსტრაციის ტოლფასია.**

ახლა, ერთ-ერთში, ელისაშვილი ხალისობდა ალალად. მაინცდამაინც არ გამკვირვებია.

ანდაზა: ღლონტმა სადღობელაშვილს უთხრა — შე საეჭვოდ დაფინანსებულოო! (...და პირიქით).

● **იქნებ ამიხსნათ, ალასანიამ გოგი თოფაძის განცხადებაზე მიუღებელი რამე თქვა, რომ დაიბუტა „ღარიბამ“ ყველაფერი?**

„სლადკაია პაროჩკას“ (თოფაძე-ტყემალაძე), თურმე, „ევრაზიულ კავშირში“ სდომებია შესვლა. ეტყობა, 37-მანეთიანი ფრენები გაახსენდათ...

● **სკოლის პერიოდში ვინმე არაკაცს რო ეთქვა, შუხური მაქვს და წამომყევიო, ხო არავინ არ წაყვებოდა?**

ჰოდა ამ სიბერეში რა ჯანდაბა ეტაკათ?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◉ ალიან-ჩალიანი

ცილისწამება თურქულად, ანუ საქართველოს კონსულს ფარული მტრები ჰყავს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში უარყოფენ თურქულ მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომ საქართველოს კონსულმა ახალგაზრდა ქალს სცემა.

როგორც საგარეო უწყებაში განაცხადეს, გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს.

თურქული მედიის ინფორმაციით, სტამბოლში საქართველოს კონსულმა ირაკლი ასაშვილმა მოლდოველ სტილისტს ირინა ბერეზინას სცემა. გავრცელებული ცნობით, ინციდენტი სტილისტის სახლში მოხდა, კონსულმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც გოგონას ცხვირი დაუზიანდა.

„ვიკამათეთ, ასაშვილმა ყვირილი და ცემა დამიწყო. ცხვირში დამარტყა. ვიგრძენი რომ ძვალი გატყდა, იმდენად მაქვს დაზიანებული ცხვირი, რომ პლასტიკური ქირურგის ჩარევა მჭირდება“, — განაცხადა საავადმყოფოში მყოფმა მოლდოველმა გოგონამ.

თურქული მედიის ცნობით, ასაშვილსა და მოლდოველ გოგონას ორწლიანი ურთიერთობა აკავშირებთ, თუმცა, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მათ ურთიერთობა დაეძაბათ.

„გაზეთში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. რაც შეეხება იმ ქალბატონს, რომელიც ნახსენებია სტატიაში, ის ნამდვილად ჩემი მეგობარია დღემდე და ახლაც გადასარევი ურთიერთობა გვაქვს. მართალი გითხრათ, თავადაც აღშფოთებულია ამ სტატიით და ამასთან დაკავშირებით აუცილებლად ერთობლივ რეაგირებას მოვახდენთ ჩვენ“, — განაცხადა საქართველოს კონსულმა.

კონსულის განმარტებით, ეს რეაგირება რედაქციისადმი მიმართვაში გამოიხატება, ვინაიდან სამართლებრივი პროცესის წარმოება ცილისწამებასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, ძნელი იქნება.

„სტატიაში რამდენჯერმე ნახსენებია სიტყვა „სავარაუდოდ“. აქედან გამომდინარე, იურიდიულად, ალბათ, რთული იქნება პროცესის წარმართვა, ვინაიდან სიტყვა სავარაუდოდ აქვთ ნახსენები. რეაგირებაში მოიაზრება ის, რომ გაზეთის რედაქციას მივმართავთ და გავარკვევთ, საერთოდ რატომ დაიწერა ეს მასალა და საიდან აქვს ასეთი ინფორმაცია ჟურნალისტს“, — განაცხადა ასაშვილმა.

ამასთან, საქართველოს კონსული არ მიიჩნევს, რომ მის მიმართ რაიმე მიზანმიმართულ ცილისწამებას აქვს ადგილი.

ნატოს საწვრთნელი ცენტრი დაახლოებით შემოდგომაზე გაიხსნება

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ღირსიაშვილმა განაცხადა. რაც შეეხება რუსეთის მხრიდან განცხადებებს, რომ ეს ცენტრი შესაძლოა, მათთვის საფრთხის შემცველია, ღირსიაშვილის განცხადებით, ცენტრის გახსნა არ არის საფრთხის შემცველი.

„მედიაში და ექსპერტების მხრიდანაც არის მოსაზრებები, რომ ეს ცენტრი შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს ვინმესთვის, ამასთან დაკავშირებით განვაცხადებ, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ცენტრის დაარსება არ არის საფრთხის შემცველი, რადგან ეს არ არის სამხედრო ბაზა, ეს არის წვრთნისა და შეფასების ცენტრი“, — განაცხადა ღირსიაშვილმა.

ე.წ. პრემიერ-მინისტრი ბესლან ბუთბა გადადგა

ამის შესახებ „იტარ-ტასი“ იტყობინება. „მე არ დამიწერია ფორმალური წერილი გადადგომასთან დაკავშირებით, მხოლოდ პრეზიდენტს შევატყობინე თანამდებობის დატოვების შესახებ“, — განაცხადა ბუთბამ. კითხვაზე, თუ რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, ბესლან ბუთბამ აღნიშნა, რომ ის ამ პოსტზე მუშაობის აზრს ვეღარ ხედავს. მისივე თქმით, გავრცელებული ცნობით, პრეზიდენტმა მისი გადადგომის შესახებ ბრძანება უკვე გამოსცა.

54 წლის ბესლან ბუთბა დე ფაქტო პრემიერის პოსტს 2014 წლი სექტემბრიდან იკავებდა. გასული წლის მაისის მოვლენების შემდეგ, რასაც დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრ ანქვაბისა და ე.წ პრემიერ-მინისტრ ლეონიდ ლაკერბაიას გადადგომა მოჰყვა, ბუთბა ვიცე-პრემიერის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, მანამდე კი ის დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატი იყო.

ინტერპრესი

— ბატონო ვახტანგ, ნაცმოძრაობამ 21 მარტისთვის ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით აქციის გამართვა დააანონსა. მედიაში იმ დღეს ნაცმოძრაობის მოქმედების სხვადასხვა სცენარები განიხილება. არ გამორიცხება კიევური მაიდნის მსგავსი პროცესების დაწყებაც. დამკვირებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 21 მარტს ბევრი არც არაფერი მოხდება, გარდა იმისა, რომ ნაცმოძრაობას ექნება საშუალება, თავისი რეიტინგი ქუჩაში თავად განსაზღვროს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ნაცმოძრაობის დაგეგმილ აქციაზე განაცხადა — „თუ წყნარად არ იქნებიან, მიიღებენ“. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა სცენარით განვითარდება აცმოძრაობის მიერ 21 მარტს დაგეგმილი აქცია?

— მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობამ ძალაუფლება დაკარგა და პარლამენტში უმრავლესობა არ ჰყავს, მან რამდენიმე აქცია გამართა. ასე რომ, ეს მათი მხრიდან პირველი და მოულოდნელი აქცია არ არის. არც ახალი ხდება რამე. მეტიც, ვიტყოდი, რომ ეს სრულიად ბუნებრივი პროცესია. სხვა საკითხია, ვის როგორ მიაჩნია — რამდენად აქვს ნაცმოძრაობას უფლება ილაპარაკოს ხალხის სახელით, ან მოითხოვოს ვინმეს გადადგომა და სხვას ასწავლოს ჭკუა, ეს გემოვნების საკითხია, რადგან, იურიდიულად და სამართლებრივად მათ აქვთ აქციის ჩატარების უფლება და ამ უფლებას იყენებენ.

კიევის მსგავსი მაიდნის სცენარით თბილისში პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის. საერთოდ, თუ ვილაპარაკებთ ნაცმოძრაობის მომავალზე, ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია გააკეთოს ისე, რომ ნაცმოძრაობა არ იყოს ხელისუფლებაში, ეს არის „ქართული ოცნება“. თუ „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა დაპირისპირებამდე არ მიიყვანა, ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი შანსი არ არსებობს. თბილისში არც მაიდნის სცენარის გამეორების არანაირი შანსი არ არსებობს.

21 მარტის აქციაზე განსაკუთრებული არაფერი მოხდება. ნაცმოძრაობა ცდილობს, შეაფასოს თავისი ძალა. დღეს, როდესაც „ქართული ოცნება“ გარკვეულწილად მხარდამჭერებს კარგავს, მას აინტერესებს, რამდენად გაიზარდა მხარდამჭერების რაოდენობა, ან საერთოდ, გაიზარდა თუ შემცირდა მისი აქტივი და, საერთოდ, როგორია საზოგადოებაში განწყობა მის მიმართ.

რაც შეეხება მინისტრის განცხადებას. შსს-სა და სხვა ძალოვან სტრუქტურებს აქციასთან მიმართებაში მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვთ — ამ აქციის მიმდინარეობისას არ დაუშვან არც ერთი მხრიდან პროვოკაციები, ანუ მათ უნდა დაიცვან ნაცმოძრაობა პროვოკაციებისაგან, თუ ასეთი სურვილი ვინმეს აქვს. მინისტრსაც რომ არ განეცხადებინა, ნაციონალები ისედაც წყნარად იქნებიან, უბრალოდ იმ დღეს ხმამაღლა ბევრს ილაპარაკებენ და იყვირებენ კიდეც.

— მას შემდეგ, რაც ლარმა მორიგი გაუფასურება განიცადა, პოლიტიკურ ასპარეზზე ტემპერატურამ მკვეთრად იმატა. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ყველაფერი ცუდად არის და ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება. ხელისუფლება ოპოზიციას უმეტესწილად არც კი პასუხობს, მაგრამ თუ პასუხობს, საპირისპიროს ამტკიცებს. თქვენ როგორ შეაფასებდით ქართულ პოლიტიკაში არსებულ ვითარებას?

— სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა არც ერთი მხარე მთლად მართალი არ არის. უფრო სწორად, მე ვერც ერთ მხარეს ვერ დავეთანხმები. ქვეყანაში საკმაოდ ცუდად მიდის საქმე. უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს თუ არა, ხვალ ფასები პროდუქტებზე გაიზრდება, ვინაიდან ჩვენი ბაზარი ძირითადად იმპორტირებულ საქონელზეა დამოკიდებული. თუ ლარის კურსის მერყეობა იქნა, ეს ფასებზე ბუნებრივად აისახება. შესაძლოა, მყისიერად არა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მაინც აისახება. არარეალურია მტკიცება, რომ თუ ლარის კურსის მერყეობა იქნა, ფასების შენარჩუნება შესაძლებელია.

არასწორად მიმაჩნია მთავრობის განცხადებები, რომ ყველაფერი კარგად არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლარის კურსის რყევა მოსახლეობაში აჩენს შიშს. ყველა ცდილობს, თუ რამე გააჩნია, ყველაფერი დოლარში ჰქონდეს და არა — ლარში. შესაძლოა, ამან ეკონომიკაში გამოიწვიოს არასრულფასოვანი პროცესები. შესაძლოა, დღეს არ გვქონდეს კატასტროფასთან საქმე, მაგრამ იმის დრო არაა, რომ გულხელდაკრეფილი ვისხდეთ და ხელისუფლებამ არაფერი აკეთოს.

მიმაჩნია, რომ ხელისუფლება უფრო ეფექტური და უფრო ქმედითი უნდა იყოს როგორც ღონისძიებების გატარებაში, ასევე საზოგადოების ჩართულობის და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით. ერთი რამაც კი, რაც საიმედო და კარგი კეთდება, აუცილებლად უნდა იქნეს ტირაჟირებული და მიტანილი საზოგადოებამდე. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამას არ აკეთებს და ეს ძალიან ცუდია. ხელისუფლების მხრიდან გადაჭარბებულ პიარზე კი არ ვსაუბრობ, არამედ იმაზე, რომ ხელისუფლებამ ადამიანები გაურკვევლობაში არ უნდა ამყოფოს.

— ფაქტია, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის, მმართველი გუნდი მხარდამჭერებს კარგავს. რეგიონებში არჩეულ ორგანოებში სახელისუფლო გუნდებში ბოლო არ უჩანს აზრიან თუ უაზრო დაპირისპირებებს. თბილისის მერიაში საკადრო ცვლილებები უამრავი მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა. თავად ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ ბევრი გამგებელი დაკარგავს თანამდებობას. თქვენი აზრით, აქვს თუ არა ხელისუფლებას მართვის პრობლემა და თუ კი, სავარაუდოდ, რას უკავშირდება მართვაში პრობლემების არსებობა?

— იმაში, რაც რეგიონებსა და თვითმმართველ ორგანოებში ხდება, დიდი ხიფათის შემცველსა და არაორდინარულს არაფერს ვხედავ. მრავალპარტიულ საკრებულოებში ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია: უმრავლესობის დაშლა და ახალი უმრავლესობების ფორმირება. ამაში ტრაგიკული არაფერია. უბრალოდ, ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ ახალი პოლიტიკური ძალა რომ მოვა, ის შემდეგ არჩევნებამდე უმრავლესობაშია. ამგვარ რამეს მიუჩვეველ საზოგადოებას ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი, გადაჯგუფება-გადმოჯგუფობები, აფრთხობს.

მართვის პრობლემა შეიმჩნევა, მაგრამ ჩვენ ერთ რამეს ვერ გავითვალისწინებთ. როცა წინა პერიოდში ახალი პოლიტიკური ძალა მოდიოდა, არათუ რეგიონებში, ცენტრალურ ხელისუფლებაშიც კი მართვის პრობლემა ყოველთვის ჰქონდა. „ნაცმოძრაობამ“ 2003-დან 2012 წლამდე მინისტრთა კაბინეტი ბევრჯერ შეცვალა. შესაბამისად, უამრავი საკადრო გადაწყვეტილება მიიღოს. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ მიმდინარეობდა გუნდის ფორმირება. არც ერთი პოლიტიკური ძალა არ არის დაზღვეული იმისგან, რომ საკადრო შეცდომა არ დაუშვას. რაც რეგიონებში, თუნდაც ქალაქის მერიაში ხდება, ჩემი აზრით, მმართველი გუნდის ფორმირებას უკავშირდება. ჩვენთვის მოულოდნელია ის, რომ მმართველ გუნდში, რომელიც ხელისუფლებაში ორი წელზე მეტი ხანია, ახლა მიდის მმართველი გუნდების ფორმირება. ამომრჩეველს ჰგონია, რომ ხელისუფლებას ამ მხრივ პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.

შესაძლოა, ეს უკავშირდებოდეს „ქართული ოცნების“ ქრონიკულ პრობლემას, ანუ საზოგადოებასთან ნაკლებ კომუნიკაციას. მერიაში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციას მოსახლეობა იგებს მედიიდან და არა თავად მერიიდან. როგორც გაირკვა, მერიას შსს საქმის კურსში არ აყენებს, როცა მერიის

ხელისუფლებამ აღამიანები გაურკვევლობაში არ უნდა ამყოფოს



გვესაუბრება
პოლიტოლოგი,
კონსტიტუციონალისტი
და ექსპერტი
ვახტანგ
ძაბირაძე

რომელიმე თანამშრომელს აკავებს. ეს ბადებს ეჭვებს, რომ მერია ვერ აკონტროლებს თავის თანამშრომლებს. ხელისუფლების ორგანოები ერთმანეთის მიმართ ელემენტარულ პატივისცემას უნდა ამჟღავნებდნენ. თუ შსს-ს ვიღაცას ქრთამის აღებაზე აკავებს, ამას მერია ტელევიზიით არ უნდა იგებდეს.

— პრეზიდენტმა პარლამენტს დასამტკიცებლად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა კი წარუდგინა, მაგრამ თუ ამ თემაზე უმრავლესობის წევრთა საჯაროდ გამოთქმულ კომენტარებს მივაქცევთ ყურადღებას, რჩება შთაბეჭდილება, რომ სასამართლოს თავმჯდომარედ წარდგენილ ნინო გვენეტაძეზე უმრავლესობაში საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობაა და კვლავაც უცნობია, მას პარლამენტი დაამტკიცებს თუ არა...

— ამ თემაზე შემიძლია ვთქვა — ქალბატონი ნინო ერთ-ერთი ღირსეული კანდიდატია, ვისაც მე ვიცნობ. მე რომ პარლამენტის წევრი ვიყო, მის კანდიდატურას მხარს აუცილებლად დავუჭერდი. ვიცი, რომ უმრავლესობაში ამ თემაზე არის აზრთა სხვადასხვაობა. თუმცა, მაინც მგონია, რომ უმრავლესობა წარდგენილ კანდიტატზე მოილაპარაკებას და ჩამოყალიბდება. ვიცი, რომ ნაცმოძრაობა მის კანდიდატურას გარკვეული მიზეზების გამო მხარს არ დაუჭერს. ამიტომ, უმრავლესობაზე იქნება დამოკიდებული გვენეტაძესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება და მგონია, რომ იგი უმრავლესობის მხრიდან მხარდაჭერას მიიღებს.

— ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა განაცხადა — „ევროპა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისათვის მზად არ არის“. დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები ძალაში კი რჩება, მაგრამ ფაქტია, რომ სანქციების მიუხედავად, რუსეთი უკრაინაში სეპარატისტთა მხარდაჭერას კვლავაც განაგრძობს. ევროპა რუსეთის იმპერიალისტურ ამბიციებს კი უპირისპირდება, მაგრამ ჯერ უშედეგოდ. თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები უკრაინაში?

— მგონია, რომ პროცესები უკრაინაში განვითარდება დაახლოებით იმ სცენარით, როგორც ვითარდებოდა საქართველოში. ვგულისხმობ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ასევე ვგულისხმობ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაპირისპირებას ყარაბაღის გამო, ანაც დნესტრისპირეთს. უკრაინის აღმოსავლეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირება უახლოეს პერიოდში, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება. სხვა საკითხია, ვინ რამდენადაა დაინტერესებული ამ კონფლიქტის დროული და სწრაფი მოწესრიგებით.

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება სახიფათო პროცესია. 2008 წლიდან ჩანდა, რომ „ცივი ომი“ ნელ-ნელა იწყებდა განახლებას. დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობა იმავე რეჟიმში განვითარდება, რაც განვითარდა მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთსა და სსრკ-ს შორის „რკინის ფარდა“ ჩამოეშვა და რეალურად დაიწყო „ცივი ომი“. დასავლეთსა და რუსეთს შორის იქნება „დათბობები“, იქნება მწვავე კრიზისები, დაახლოებით ისეთი, როგორიც კარიბის კრიზისი იყო. როგორც ჩანს, დასავლეთიცა და რუსეთიც, ისევ ისეთ

რეჟიმში აპირებენ ურთიერთობას, როგორი ურთიერთობა დასავლეთსა და სსრკ-ს შორის იყო. შედეგი ისეთივე იქნება, რა შედეგითაც დასრულდა „ცივი ომი“, მაგრამ სიმართლე გითხრათ, რატომ აკეთებენ ამას რუსები, ჩემთვის გაუგებარია.

— ევროპული კომისიის ხელმძღვანელი ჟან-კლოდ იუნკერი ევროკავშირის ერთიანი არმიის შექმნას ითხოვს. რუსეთის სათათბიროს დეპუტატებს ეს ინიციატია იმდენად არ მოეწონათ, რომ ამგვარი არმიის შექმნის შემთხვევაში ევროპას მოსკოვიდან ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ განცხადებები შეაგებეს. მოკლედ, „თეთრი დათვი“ არ ჩერდება...

— ჩემი აზრით, მას არც არავინ აძლევს საშუალებას, რომ გაჩერდეს. ყველაზე სწორი იქნებოდა, დათვს თავის დროზე ეფიქრა, ამ პროცესში არ ჩართულიყო და თავისი პოლიტიკა სხვაგვარად აეწყო. ახლა უკვე საკმაოდ რთული პროცესია. ბუნებაში არ მოიძებნება უკრაინის პრობლემის სრულმასშტაბიანი დარეგულირების ისეთი სცენარი, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნება სამივე მხარისთვის, უკრაინისთვის, დასავლეთისთვის და რუსეთისთვის. რადგან საბოლოო დარეგულირება მიუღებელია, ყველა კონფლიქტის გაყინვას ეცდება.

ნიშანდობლივია ის, რომ ევროპა დღეს იწყებს ერთიანი ევროპის არმიის შექმნაზე ფიქრს. გაერთიანებული ევროპული არმია უკვე ნიშნავს, რომ თუ დღეს მოსკოვში ფიქრობენ, რომ ევროპის ქვეყნებს შორის განხეთქილება იყოს და ისინი ერთიან პოზიციაზე ვერ შეჯერდნენ, კრემლის ეს სტრატეგია აღარ იმუშავებს. ევროპის არმიის შექმნა ყველაზე მეტად რუსეთისთვისაა მიუღებელი. კრემლს ევროპული არმია კი არა არმიაში გამოსახული ევროპის ერთიანობა უფრო აფრთხობს.

— უკრაინაში მიმდინარე პროცესებისა და დასავლეთისა და რუსეთს შორის დაპირისპირების ფონზე ოპოზიცია ხელისუფლებას რუსეთ-საქართველოს დიალოგში მონაწილეობას საყვედურობს. მიუხედავად ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებებისა, რომ ქვეყნის საგარეო კურსი შეიცვალა, საქართველო ევროპული ინტეგრაციის გზაზე გარკვეულ ნაბიჯებს ეტაპობრივად დგამს. ცხადია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის მომავალი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დასრულდება პროცესები უკრაინაში. თქვენი აზრით, რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ოფიციალური თბილისი, ერთი მხრივ, ევროპის, ხოლო, მეორე მხრივ, მოსკოვის მიმართულებით?

— ისინიც კი, ვინც ხელისუფლებას უკიჟინებენ, რუსეთთან დიალოგის წინააღმდეგია, აპელირებს იმაზე, რომ მოსკოვს დასავლეთთან ერთად უნდა ველაპარაკოთ. რუსეთთან ჩვენი დიალოგი არ არის საიდუმლო შეხვედრები, დასავლეთმა ამ დიალოგის შესახებ იცის და დარწმუნებული ვარ, იცის ისიც, თუ რა თემებზე ხდება მსჯელობა. მეორე არის ის, რომ დასავლეთის იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც თავი შეიკავეს საქართველოს ნატოში გაწევრებაზე, ჩვენს მიმართ ყოველთვის ჰქონდათ პრეტენზია და დღესაც აქვთ, რომ ჩვენ რუსეთს არ ველაპარაკებით.

რუსეთთან დიალოგი საქართველოს ხელისუფლებას აძლევს ორ მნიშვნელოვან არგუმენტს. პირველი — დასავლეთს ვეუბნებით, რომ ჩვენ რუსეთს ველაპარაკებით, ანუ ამ დიალოგის გამო დასავლეთს აღარ აქვს არგუმენტი, ამ თვალსაზრისით გვისაყვედუროს, ანუ კიდევ უფრო საფუძვლიანია ჩვენი მისადმი მოთხოვნა, ამ დიალოგში დაგვეხმაროს. ამ დიალოგით უარესობისკენ საქმე იმაზე მეტად ვერ წავა, რაც ახლაა. ერთადერთი უარესობა ის იქნება, თუ რუსული ტანკები თბილისში შემოვლენ. მეორე პლუსი ამ დიალოგისა ისაა, რომ რუსეთში საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მიმართ შეიცვალა. მესმის, რომ ეს მყიფე ცვლილებაა და ყველაფერი მყისიერად შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ რუსულ საზოგადოებაში საქართველოს მიმართ ახლა ისეთი აგრესია აღარაა, როგორც წინ პერიოდებში იყო. ამგვარი გარემოება ჩვენთვის გარკვეულწილად მისაღები უნდა იყოს.

აქ მთავარი კიდევ ისაა, რომ რუსეთთან დიალოგის არსებობით, პრაქტიკულად არაფერი შავდება. ომის მიუხედავად, კიევიც კი იძულებულია, რუსეთს ელაპარაკოს. რუსეთთან გაბუტული ბავშვებივით ყოფნა სხვა არაფერია, თუ არა ბავშვური პოლიტიკა. ბავშვური ასაკიდან როგორღაც უნდა გამოვიდეთ და ცოტა პრაგმატულად შევხედოთ ვითარებას. მთავარი ის კი არაა, ვინ ვის ელაპარაკება, მთავარია, რაზე ელაპარაკება და რამდენად შორს შეგვიძლია წასვლა. მოსკოვთან დიალოგში პრობლემას ვერ ვხედავ.

— გასულ კვირას რუსეთმა საკმაოდ მასშტაბური სამხედრო სწავლებები დაიწყო აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. ქართულმა მხარემ მოსკოვის ქმედებები გააპროტესტა, რასაც რუსეთის საგარეო უწყების პასუხი მოჰყვა. პრაქტიკულად, მოსკოვი თბილისს კვლავაც 2008 წლის შემდეგ შექმნილი „ახალი რეალობის“ აღიარებისკენ მოუწოდებს...

— ჩვენს პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებაში არავინ აღარაა ისეთი გულუბრყვილო, რომელიც ფიქრობს, რომ ამ დიალოგით რაიმე შეიძლება შეიცვალოს. დიალოგის „სიკეთეებზე“ უკვე ვისაუბრეთ. სხვა შედეგი მოსალოდნელი არცაა.

რაც შეეხება ამ წვრთნებს. ვფიქრობ, რომ მას ორმაგი დატვირთვა აქვს. ამ წვრთნებით რუსეთი, ერთი მხრივ, ჩვენ გვაფრთხილებს — ბიჭებო, აქ ვარ და ემანდ არაფერი შეგეშალოთო, და მეორე — ამ წვრთნებით იგი დასავლეთს ეუბნება — თუ უკრაინის გამო რუსეთთან მიმართებაში ეკონომიკური სანქციები გაგრძელდება, ჩვენ უკან არ დავიხევთ და სამხრეთითაც იმავეს გავაკეთებთ, რასაც უკრაინაში ვაკეთებთ. შესაძლოა, ეს ასევე უკავშირდებოდეს შავ ზღვაში ნატოს წვრთნებს და მის საპირწონედ რუსეთი სახმელეთო წვრთნებს ატარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო, ამ წვრთნებზე თვალი დაეხუჭა და მან გააპროტესტა, მაგრამ რუსეთიდანაც ზუსტად ის პასუხი მივიღეთ, რაც მოსალოდნელი იყო. საფრთხე რუსეთიდან რეალურად არსებობს და არსებობდა ყოველთვის დაწყებული 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ანუ რუსეთიდან აგრესიის საფრთხე ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს.

კობა ბექაური

◎ ალიან-ჩალიანი

ჯარში კვების ხარისხი გაუმჯობესდება

„სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ კომპანიის დირექტორმა მირანდა მანჯგალაძემ მედიის წარმომადგენლებს ჯარის კვების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კომპანიის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები გააცნო.

ქართული ჯარის კვებას 2015 წლის 15 თებერვლიდან სწორედ „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ ახორციელებს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, მათი მიზანი საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის კვებითი მომსახურების გაუმჯობესებაა.

„ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიაში იგეგმება მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, რომლის შედეგადაც ჯარისკაცი მიიღებს გაცილებით გაუმჯობესებულ კვების ხარისხს, სერვისის, უვნებლობისა და საგემოვნებო კუთხით. ეს ყველაფერი კი მოხდება ნატოსთან მიახლოებული სტანდარტებით“, — განაცხადა მანჯგალაძემ.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, მუშავდება კითხვარი სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლის მეშვეობითაც კომპანია მიიღებს ინფორმაციას ჯარისკაცების სურვილების, შენიშვნებისა და მოთხოვნების შესახებ. ასევე, არსებობს კომპანიის შინაგანაწესი, რომლის დაცვა ყველა თანამშრომლის ვალდებულებაა. ამასთან, სასადილოს მენეჯერებისთვის მზადდება სპეციალური სახელმძღვანელო, სადაც მათი ფუნქცია-მოვალეობები არის აღწერილი.

„რაც შეეხება ტარიფებს, ერთ ჯარისკაცზე დღიური ანაზღაურება სპეციალური ოპერაციის ძალებისთვის არის 15, 87 ლარი და საჯარისო ნაწილისთვის 11, 22 ლარი“, — განაცხადა მირანდა მანჯგალაძემ.

„2013-2014 წლებიდან დაიწყო სასადილო ობიექტების გაუმჯობესება. ჩვენ ვგეგმავთ მედიის მიწვევას ერთ-ერთ სასადილოში, რომელიც ჩვენთვის და თავდაცვის სამინისტროსთვის სტანდარტია, რომლის მიხედვითაც ყველა სასადილო აშენდება. იცით, რომ იყო კრიზისული თემები, მათ შორის ჯვარედინი დაბინძურების პრობლემა, რადგან სასადილო ობიექტები არ იყო იმგვარად აშენებული და იმდენად რეკონსტრუქტურებული, რომ აღნიშნული თავიდან ყოფილიყო აცილებული. სხვათაშორის, ეს ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო, თუმცა 2013-2014 წლებში დაიწყო ამაზე მუშაობა და ეს პროცესი გრძელდება. ამის ნათელი მაგალითია ხონის ახალი სასადილო, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ე.წ. დასავლური პრინციპი. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ერთ დღეში ვერ დასრულდება, თუმცა, ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს. მაგალითი გვაქვს, სტანდარტი შექმნილია რათა ეტაპობრივად მივაღწიოთ იმ შედეგს, რასაც ჰქვია ჯარის უვნებელი და კარგი კვება. ეს არის ე.წ. ევოლუციის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ეტაპობრივად მოხდება ჩანაცვლება იმის, რაც მემკვიდრეობით გვერგო“, — აღნიშნა კომპანია „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ დირექტორმა.

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტით დაინტერესდა

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ოცეულში შემავალი ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი თბილისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტით დაინტერესდა.

უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან პროფესორები ედვარდ სჩეინერმანი და ენდრიუ დუგლასი, თბილისში შეხვედრებს მართავს.

ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტის დეტალებზე პროფესორებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი მაია ცქიტიშვილი ესაუბრა. თბილისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის თემაზე, შეხვედრები ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან მაია ცქიტიშვილმა აშშ-ში ვიზიტისას გამართა.

„ბუნებრივია, ჩვენი დიდი სურვილია, ასეთი მაღალი დონის უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყოს საქართველოში. ეს არის უკვე ჩვენი მესამე შეხვედრა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ტექნიკური კოლეჯის დეკანებთან, რაც მათთან წარმატებული თანამშრომლობის იმედს გვაძლევს“, — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პარალელურად, პარტნიორობის შესაძლებლობა განიხილება მსოფლიოს სხვა წამყვან უნივერსიტეტებთან.

დევნილთათვის მესაკუთრეებისგან ფართებს გამოისყიდიან

საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში აცხადებენ, რომ უწყება ცდილობს, მესაკუთრეებთან პირადად აწარმოონ მოლაპარაკებები, რათა დევნილებს თანხის გადახდა არ მოუწიოთ.

როგორც დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა მურად აბლოთიამ განაცხადა, ვარკეთილი 3-ში დევნილებისთვის ფართების გამოსყიდვა მიმდინარეობს.

„იმისათვის, რომ დევნილებს არ მოუწიოთ იმ საცხოვრებელი ფართების დატოვება, სადაც ისინი თითქმის 16 წელია, ცხოვრობენ, მუდმივად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ მესაკუთრეებთან, ვისაც უკვე საჯარო რეესტრში დაფიქსირებული აქვს ეს ქონება და ნაწილთან ვახერხებთ გარკვეულ შეთანხმებაზე წასვლას თანხასთან დაკავშირებით, ზოგიერთთან უკვე მიღწეულია და უახლოეს დღეებში გამოვისყიდით ფართებს. რაც შეეხება 25 000 დოლარის მოთხოვნას დამატებით, ვფიქრობთ, რომ ცოტა გაზვიადებულია ეს თანხა. ჩვენ კვადრატულში 50 დოლარს ვიხდით. დამატებით შესაძლოა მეპატრონე ითხოვდეს თანხას, თუმცა, ვცდილობთ, რომ ეს ტვირთი დევნილებს არ დააწვეთ და მაქსიმალურად უზრუნველყოთ თანხის გადახდა“, — განაცხადა დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსმა მურად აბლოთიამ.

კასპის რაიონში საავტომობილო გზების შეკეთება მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კასპის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქი-რკონის საავტომობილო გზის 4 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს.

სამშენებლო სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა ფანჩულიძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნულ მონაკვეთზე ამჟამად გაბიონების, საყრდენი კედლების, რკინაბეტონის მილებისა და ეზოებში შესასვლელების მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება განხორციელდება, ასევე კიუვეტების, ეზოებში შესასვლელების, მიერთებების, საგზაო ნიშნებისა და ავტობუსების გაჩერებების მოწყობაა დაგეგმილი.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებს ახალქალაქს, გარიყულას და ერთაწმინდას გაივლის, რომელიც ერთაწმინდის ტაძრის კომპლექსთან სრულდება.

სამუშაოები მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულება 2 478.000 ლარს შეადგენს. სამუშაობზე 30-ზე მეტი ადამიანი დასაქმებულია. პროექტი წლეულს დასრულდება.

„პატრიოტთა ბანაკები“ და ეროვნული ღირებულებები

„პატრიოტთა ბანაკების“ თემა დეპუტატმა კურტანიძემ ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომიტეტის სხდომაზე დასვა, სადაც ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ 2013-2014 წლებში გაწეული საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმები მოისმინეს. კითხვით მან ფონდის დირექტორს ირაკლი ჟორჟოლიანს მიმართა.

„წლების განმავლობაში რამდენად მანკიერი იყო ახალგაზრდებისადმი მიდგომა, ჩვენ კარგად ვიცით. რაღაც „პატრიოტთა ბანაკები“ და ახალგაზრდების უმსგავსო აღზრდა რომ იყო, ესეც ცხადია... რა ცვლილებებია ამ მხრივ? სისტემა შეიცვალა თუ არა და ახალგაზრდები იზრდებიან თუ არა ეროვნული ღირებულებებით? დამთავრდა თუ არა ახალგაზრდების ის უმსგავსო აღზრდა, რაც ჩვენ კარგად ვიცით და ერთად გამოვიარეთ?“, — განაცხადა კურტანიძემ კომიტეტის სხდომაზე.

როგორც პასუხად ჟორჟოლიანმა განმარტა, სამინისტროს პოლიტიკაა მაქსიმალური დეპოლიტიზება. მისი თქმით, ბანაკის სისტემის ფილოსოფიაა, რომ ეს ბანაკი არ უნდა იყოს კომკავშირელების აღზრდის ინკუბატორი.

ინტერპრესი

◎ შრომის ბაზარი

სჯობს, ჯერ ჩვენი ხალხის დასაქმებაზე ვიზრუნოთ...

პარლამენტის მიერ საგაზაფხულო სესიაზე განსახილველ მრავალ საკანონმდებლო ინიციატივას შორის უდავოდ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანია კანონპროექტი **„შრომითი მიგრაციის შესახებ“, რომელშიც მასთან დაკავშირებული რეგულაციები იქნება განსაზღვრული.**

ქვეყნის მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის თანმხლებ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ **საჭიროა შრომითი მიგრაციის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც შრომითი ძალის მქირავებელს თუ ინვესტორს საქართველოში უცხოეთის მოქალაქეთა დასაქმების უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს, თუკი სათანადო პროფილისა და კვალიფიკაციის მუშახელის მოძებნა ადგილობრივ შრომით ბაზარზე შეუძლებელია.**

ამდენად, სავსებით ნათელია, რომ „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მომავალი კანონის ქვაკუთხედი ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმების პრიორიტეტის განმტკიცებაა, რაც დღესდღეობით არსებულ ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია.

კანონპროექტის ავტორთა აზრით, **ახალი ინიციატივის მთავარი მიზანია ქვეყანაში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, რომელთა ამოქმედება ხელს შეუწყობს საქართველოში ლეგალური შრომითი მიგრაციის კანონიერ კალაპოტში მოქცევას,** ასევე მინიმუმამდე შეამცირებს არალეგალური მიგრაციისა და, მით უმეტეს, ტრეფიკინგის საფრთხეს.

ყველაფერი ის, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მეტად დადებითი გარემოებებია, რომელთა დანერგვა საქართველოს შრომის ბაზარზე, გარკვეული თვალსაზრისით, ურთიერთობებს მოაწესრიგებს, მაგრამ ბევრი ექსპერტი ამასთან დაკავშირებით ერთგვარად სკეპტიკურადაა განწყობილი. საქმე, კერძოდ, იმას ეხება, რომ შრომითი კანონმდებლობის ასეთივე ნორმები ბევრ ქვეყანაში მოქმედებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამსაქმებლები და ინვესტორები მათ, უმეტესწილად, ფორმალურად ასრულებენ. ეს კი, ცხადია, ადგილობრივ მუშახელს არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში აყენებს. ამ მეტად არასასიამოვნო გარემოებაზე თავისთავად მეორეცაა მიბმული: თუკი უცხოელი დამსაქმებელი ადგილობრივ კადრებს კვალიფიკაციას დაუწუნებს იმ მიზნით, რომ ამ ადგილზე მუშახელი თავისი ქვეყნიდან ჩამოიყვანოს, ამით მას საქართველოში საქმიანობის წარმართვა გაურთულდება, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის საინვესტიციო იმიჯზე ცუდად აისახება.

თუ რამდენად რეალურია საკითხისადმი ასეთი მიდგომა, სიმართლე გითხრათ, გაუგებარია, რადგან თუკი ყველაფერი მართლაც ასე იქნება ახალი კანონის შემოღების შემდეგ, განა რა უშლის ხელს უცხოელ დამსაქმებელს თუ ინვესტორს, ასევე იქცეოდეს კანონის ამოქმედებამდეც?!

ამასთან, აღნიშნავენ იმასაც, რომ საქართველოში უცხოური მუშახელის ჩამოყვანის მხრივ, ჩვენთვის ყველაზე პრობლემური ქვეყნებია მეზობელი **თურქეთი** და შორეული **ჩინეთი** — სწორედ იქაურ დამსაქმებელ-ინვესტორებს შემოჰყავთ თავიანთ ასაშენებელ თუ აშენებულ საწარმოებში ძირითადად თანამოქალაქეები. ახალი კანონის ამოქმედების დადებითი მხარე თუნდაც ის იქნება, რომ საქართველოში, საყოველთაო უმუშევრობის პირობებში, არაკვალიფიციური ანდა დაბალკვალიფიკაციური მუშახელის შოვნა არანაირი პრობლემა არ არის, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი რაღაც პროფილის მაღალი დონის სპეციალისტები საქართველოში მართლაც არ არის, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პროექტის განხორციელება დაიწყებოდეს, მათი სათანადოდ მომზადება სავსებით შესაძლებელია — აქ იქნება ეს თუ საზღვარგარეთ.

მაშინ, **როცა საქართველოში უმუშევრობის პრობლემა უკიდურესად მწვავედ დგას, უცხოური დამსაქმებლისა თუ ინვესტორის მიერ განსახორციელებელ პროექტში, ადგილობრივი მუშახელის დასაქმების საკითხი ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული,** ეს პუნქტი ხელშეკრულებაში სათანადოდ უნდა აისახოს და მკაცრი ზედამხედველობაც დაუწესდეს, დამრღვევთა მიმართ კი სათანადო ზომებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. რაც შეეხება უცხოელ სპეციალისტებს, მათი სამუშაოდ მოწვევა, ბევრის აზრით, აუცილებლად დამაჯერებლად არგუმენტირებული უნდა იყოს.

ახალი კანონპროექტის ოპონენტები შიშობენ, რომ მისი კანონად გადაქცევა ქვეყანაში ინვესტიციების ნაკადს შეასუსტებს, თუმცა, ეს, ჩვენი აზრით, ასე არ არის: ვისაც აქ საქმის კეთება უნდა და, შესაბამისად, მოგების მიღებაც სურს, ეს კანონი არანაირ დაბრკოლებას არ შეუქმნის.

ნინო ალექსანდრია

◎ ალიან-ჩალიანი

უნდა განახლდეს საგადასახადო შემოწმებების სისტემა

დამოუკიდებელი ექსპერტები ხელისუფლებას საგადასახადო შემოწმებების სისტემის განახლებისა და ვადების შემცირებისკენ, ხოლო კონკურენციის სააგენტოს ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევის დასრულებისკენ მოუწოდებენ. ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის არსებულ პრობლემებზე, გუშინ პრესკონფერენციაზე ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძემ და იურისტმა იმედა დვალიძემ ისაუბრეს. მათი თქმით, ის მანკიერი პრაქტიკა, რაც წარსულში საგადასახადო შემოწმებებს თან ახლდა საწარმოების დალუქვის, საქმიანობის შეჩერების სახით, დღეს მინიმუმამდე არის დაყვანილი, თუმცა ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა ბიზნესის წარმომადგენლების პრეტენზიებმა საგადასახადო შემოწმებების გახშირებისა და შემოწმების პროცესის ვადების მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით.

ლევან კალანდაძის თქმით, ეს პრობლემა თანაბრად ეხება ბიზნესის ყველა სფეროს, მაგრამ განსაკუთრებით შეინიშნება ნავთობპროდუქტების იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანიების მიმართულებით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჯერ კიდევ გასული წლის 18 დეკემბრის მთავრობის სხდომაზე დაინტერესდა, რატომ არ ხდება საქართველოში საწვავზე ფასების კლება მსოფლიო ფასების ადეკვატურად. ირაკლი ღარიბაშვილმა კონკურენციის სააგენტოს შესაბამისი ანგარიშის წარსადგენად 10-დღიანი ვადა მისცა. არსებული ინფორმაციით, სააგენტომ პრემიერს საწვავის ფასებთან დაკავშირებით შუალედური ანგარიში მიმდინარე წლის დასაწყისში გააცნო, თუმცა საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი.

◎ საბანკო სექტორი

თვითონ ხეირობენ, ეკონომიკა კი ზარალდება!

როდის დაედება ზღვარი კომბანკების მავნებლურ თავგასულობას?

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა მასალა „ვინ რატომ და როგორ უშლის ხელს მეწარმეობის განვითარებას და ხალხის დასაქმებას?“ მასში ლაპარაკია კომერციული ბანკების მავნე პოზიციაზე, რაც აბრკოლებს ეკონომიკის განვითარებას. სამწუხაროდ, ეს მარტო აჭარაში კი არა, სხვაგანაც ხდება. ამაზეა დღევანდელი მასალაც.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის კომერციულმა ბანკებმა მეტად სოლიდურ წარმატებას მიაღწიეს, რაც, საბოლოო ანგარიშით, დიდი მოგების მიღებაში გამოიხატა. კერძოდ, **საქართველოში მოქმედმა 21 კომერციულმა ბანკმა 2012 წელს 134,2 მილიონი ლარის, 2013 წელს — 389,1 მილიონი ლარის, 2014 წელს კი რეკომენდული 474,8 მილიონი ლარის მოგება მიიღო.** ერთი შეხედვით, საბანკო სფეროს წარმატებები სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანებშიც სათანადოდ უნდა აისახებოდეს, მაგრამ, გამოდის, რომ ბანკირების ფაქტობრივად მთელი მოგება ისევ „ოჯახში“ რჩება, რადგან, როგორც ირკვევა, კომერციულ ბანკებს, სახელმწიფო ბიუჯეტში, შემოსავალთან შედარებით, გაცილებით ნაკლები თანხები შეაქვთ. კონკრეტულად, **2012 წელს ბანკებმა ბიუჯეტში მთლიანად 34,3 მილიონი ლარი გადაიხადეს, 2013 წელს — 44,5 მილიონი ლარი, 2014 წელს კი დაახლოებით 80 მილიონი ლარი.**

აღსანიშნავია ასევე, რომ ბოლო წლების მანძილზე კომერციული ბანკების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შეტანილი თანხები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე არა თუ ეკონომიკის სხვა, სტატისტიკურად უფრო ნაკლებად წარმატებული სექტორების მიერ ჩარიცხული, არამედ ცალკეული კომპანიების მიერ შეტანილი თანხებიც კი! ქვეყნის ბიუჯეტში მათი შენატანი წლიური მოგების ერთ პროცენტსაც არ შეადგენს. არადა, ქვეყნის საბანკო სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტზე გაცილებით მეტი სახსრები, დაახლოებით 20 მილიარდი ლარი ტრიალებს: **შარშანდელი ბიუჯეტი, თავის გარანტიებიან-კრედიტებიანად 9 მილიარდ ლარზე ოდნავ მეტი იყო, კომბანკების გადასახადებმა კი 79,8 მილიონი ლარი შეადგინა!** ამასთან დაკავშირებით, ექსპერტები საფუძვლიანად ეჭვობენ, რომ საბანკო სეტორში ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს და სტრუქტურაში საგადასახადო და საბალანსო მოგებებით გარკვეული მანიპულაციები ხდება, თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ **კომერციული ბანკებისა და სხვა სახეობის კომპანიების გადასახადებით დაბეგვრა ერთმანეთისგან განსხვავებულია, რადგან ბანკების შემთხვევაში მხედველობაში იღებენ მათი რეზერვების მოცულობასაც. ეს კი მათ საკუთარი საგადასახადო ბაზის შემცირების შესაძლებლობას აძლევს. აღნიშნულის გარდა, ბანკებს გადასახადის გადავადების უფლება აქვთ, თანაც, მათ ეროვნულ ბანკში „მკვდარ ტვირთად“ დადებული სარეზერვო შენატანის თანხა აკლდებათ. არის კიდევ რამდენიმე სხვა გარემოებაც, რომელთა გამო კომბანკების მთლიანი გადასახადი ბიუჯეტში ძალიან მცირეა.**

ცალკეა აღსანიშნავი, რომ ქვეყანაში მოქმედი 21 კომერციული ბანკიდან დაახლოებით ყოველი მეხუთე ბანკი ზარალიანია, თუმცა კი, მათ რაღაც მიზეზთა გამო მაინც ამუშავებენ.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში, როცა საბანკო სექტორში მოგება მაღალია, თუმცა კი, ბიუჯეტი ამით სათანადოდ ვერ ივსება, თავისთავად დადებით ზეგავლენას ეროვნული ეკონომიკაზე ნამდვილად არ ახდენს. ცნობისთვის კი აღვნიშნავთ, რომ **ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, საბანკო სექტორის მოგება და ბიუჯეტებში გადახდილი თანხები ერთმანეთთან თანაფარდობაშია, რაც ეკონომიკური განვითარების ტემპზე იასახება კიდეც.** წინააღმდეგ შემთხვევაში, საბანკო სექტორის ეროვნულ ეკონომიკაზე გაცილებით მაღალი ტემპით განვითარება ამ უკანასკნელის ნორმალურად განვითარებას არა თუ ხელს არ უწყობს, პირიქით, ერთგვარად „გუდავს“, რადგან იქიდან თავისუფალ ფულად სახსრებს „შთანთქავს“. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, 2013 წელს, როცა საქართველოში ეკონომიკური ზრდა 3,2 პროცენტი იყო, ქვეყნის საბანკო სექტორში აქტივები 18 პროცენტით გაიზარდა. ასეთი, თითქმის ექვსჯერადი განსხვავება კი ეროვნულ ეკონომიკას არაფერში არ არგია, რაშიც ახლაღა ვრწუნდებით, ამდენად, ეს საკითხი აუცილებლად მოსაწესრიგებელია.

ეროვნული ეკონომიკის წინაშე საბანკო სექტორის, თუ შეიძლება ითქვას, მთავარი „ვალი“ მაინც ისაა, რომ დიდი რისკების გამო, სამრეწველო და, მით უმეტეს, სოფლის მეურნეობის სექტორებზე კრედიტები ძალიან მომჭირნედ გაიცემა და ეს წლების მანძილზე ასეა. საქმის ასეთ „დაფერდებას“ ისევ კრედიტების დაზღვევა თუ უშველის, რისი დროულად დამკვიდრდებაც მეტად საშური საქმეა.

ოთარ ტურაბელიძე

რუსეთი საქართველოზე ეკონომიკურად და დიპლომატიურად ზემოქმედებს,

აცხადებს მოსკოვში მცხოვრები ქართველი მკვლევარი, პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი ავთანდილ წულაძე

— თბილისში საუბრობენ, რომ მოსკოვმა, რუსეთსა და საქართველოს შორის საბაჟო ადმინისტრირებასთან დაკავშირებით 2011 წელს ხელმწერილი შეთანხმების ამოქმედების სანაცვლოდ, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა მოითხოვა. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ რუსეთს საქართველოსთვის ამგვარი მოთხოვნა წაეყენებინა?

— სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი სამხედრო საკითხთა კატეგორიას განეკუთვნება. უკრაინის ქალაქ დებალცევოსთან დაკავშირებით ხმაური და ომი იმის გამო იყო, რომ ქალაქი მნიშვნელოვანი და მობილური სარკინიგზო კვანძია. რუსული ჯარის მობილურობას, სწორედაც რომ, სარკინიგზო მიმოსვლა უზრუნველყოფს. როცა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი დგება, უნდა ვიცოდეთ, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყების სუნი ტრიალებს. ამგვარი ჭორების გაჩენა საგანგაშო სიგნალების მაუწყებელი უნდა იყოს.

— ევროპაში ნატოს ძალების სარდალი, გენერალი ფილიპ ბრიდლავი არ გამორიცხავს რუსეთის მხრიდან საქართველოსა და მოლდოვაზე ზეწოლის გაძლიერებას. აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენის მოთხოვნა ამ კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული?

— უკრაინაში მიმდინარე პროცესები თავისთავად ხომ არ არსებობს. არსებობს პოსტსაბჭოთა სივრცე, რომელზეც რუსეთი ცდილობს თავისი საზღვრების გაფართოებას. მოსკოვში მიიჩნევენ, რომ საქართველოში საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი, ამიტომ ვფიქრობ, რომ კრემლის ზეწოლა საქართველოზე დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდება. მაგრამ, ჩემი აზრით, რუსეთის მხრიდან საქართველოზე ეკონომიკური და დიპლომატიური ზეწოლა მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ გავრცელებული ხმები შემთხვევითი არ უნდა იყოს. სარკინიგზო მიმოსვლის გარეშე სამხედრო ინფრასტრუქტურის ზეწოლა ეფექტური ნამდვილად ვერ იქნება.

— მინისტრმა ლავროვმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთისთვის საქართველოს ნატოს წევრობა მიუღებელია. ამგვარი განცხადება მას მრავალჯერ გაუკეთებია, მაგრამ ახლა, როცა საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის მშენებლობაზეა საუბარი, ლავროვის განცხადება თბილისში კრემლის მხრიდან პრაქტიკულ მუქარად იქნა აღქმული. თუ რუსი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების განცხადებებს მივადევნებთ თვალს, რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთისათვის საქართველოს არა მხოლოდ ნატოში გაწევრება, არამედ ევროკავშირთან ინტეგრაციაც კატეგორიულად მიუღებელია...

— ეს გასაკვირია არაა, ვინაიდან რუსეთი დასავლეთს მტრად განიხილავს. რუსული პოლიტიკური წრეების ლოგიკა ასეთია — ვინც ჩვენს მტერს უახლოვდება, ჩვენი მტერია. რუსეთი დასავლეთთან თითქმის ომის მდგომარეობაშია.

— თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რის მიღწევას ცდილობს რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში?

— ჩემი აზრით, ამ ეტაპზე რუსეთი საქართველოს მიმართ უკიდურესი ზომების გამოუყენებლად, დიპლომატიური ზეწოლით ცდილობს მაქსიმუმის მიღწევას. ეს შეიძლება იყოს იგივე აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ან სხვა ტექნიკური საკითხები, რომლებსაც შემდეგ პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნებათ. უკრაინაში შექმნილი ვითარება აიძულებს საქართველოს, რუსეთთან მიმართებაში დათმობებზე წავიდეს, ვინაიდან რუსეთისაგან საქართველოს მიმართ სამხედრო მოქმედებების დაწყების ალბათობა და შიში საკმაოდ დიდია.

რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში მოლაპარაკებების პოზიციები საკმაოდ ძლიერი აქვს. რუსეთს გარკვეული წარმატებები აქვს უკრაინაში. საქართველო რუსეთის ზეწოლას ერთ კვირასაც ვერ გაუძლებს.

— თქვენი შეფასებით ახლა უკრაინაში როგორ ვითარდება პროცესები? ამ პროცესების ფონზე როგორ შეაფასებდით, ერთი მხრივ, რუსეთის და, მეორე მხრივ, დასავლეთის მოქმედებებს?

— უკრაინაში ძალიან რთული სიტუაციაა იმ მხრივ, რომ მოლაპარაკებების საფუძველი რეალურად არ არსებობს. „მინსკი2"-ის შეთანხმებებმა მკაფიოდ დაგვანახა, რომ მხარეებს შორის შეთანხმებისთვის პრინციპული საფუძველი რეალურად არ არსებობს. აშშ-ის დაზვერვამ გააკეთა განცხადება, რომ გაზაფხულზე რუსეთი შეტევას მარიუპოლზე განახორციელებს, რათა ყირიმთან მისასვლელი კორიდორი გაჭრას. ეს მოვლენათა განვითარების საკმაოდ რეალისტური სცენარია. ასე რომ, ჩემი აზრით, უკრაინაში ვითარება პერიოდულად უკიდურესად რთული იქნება. ხან იქნება საომარი მოქმედებები, ხანაც ვითარების გაყინვის მცდელობა. ასეთ ფონზე კვლავაც რთული იქნება რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობები. ჩემი აზრით, უკრაინული ისტორია საკმად დიდხანს და მძიმე სცენარებით განვითარდება.

— თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები? იმის გათვალისწინებით, რომ დასავლელი და ამერიკელი ლიდერები რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრების გეგმებს კვლავაც განიხილავენ, სავარაუდოდ, როგორ აისახება იგი მომავალში რუსეთის ქმედებებზე?

— სანქციებმა მნიშვნელოვნად დააზარალა რუსეთის მოქალაქეები. ვინაიდან რუსეთს ჯერ კიდევ აქვს დაახლოებით 370 მილიარდი დოლარის რეზერვი და შეუძლია, წელიწადნახევარი გაუძლოს დასავლეთის ზეწოლას, კრემლის პოლიტიკა დასავლეთისა და უკრაინის მიმართ ამ პერიოდში არ შეიცვლება. რადგან ეს რეზერვი არსებობს, რუსეთს აქვს საშუალება, სანქციურ ზეწოლას დაუპირისპირდეს. შეიძლება ითქვას, რომ ახლა უკრაინაში და რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებში ნერვების ომის მიმდინარეობს. ჩვენ ახლა ვიმყოფებით რუსეთსა და დასავლეთს შორის არა ეკონომიკური დაპირისპირების, არამედ საომარი დაპირისპირების ვითარებაში. ყველა იმის მოლოდინშია, თუ ვინ შედრკება პირველი.

— შეძლებს თუ არა დასავლეთი უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტასა და რუსეთის შეჩერებას, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდება პროცესები უკრაინაში და, სავარაუდოდ, როგორი სახელმწიფო იქნება რუსეთი. ამ თვალსაზრისით მოვლენათა განვითარების რა პერსპექტივები იკვეთება?

— ჩემი აზრით, დონბასში ცეცხლის შეწყვეტა რომ დროებითი ამბავია, ეს კარგად ესმით ევროპაშიც და უკრაინაშიც. რაც შეეხება რუსეთს, უახლოეს მომავალში რუსეთის პოლიტიკაში არანაირი ცვლილება არ არის მოსალოდნელი, ამიტომ კრემლის პოლიტიკა ისეთივე იქნება უკრაინისა და დასავლეთის, მათ შორის, საქართველოს მიმართ, როგორც აქამდე იყო.

უკრაინაში ძალიან სერიოზული ეკონომიკური და ფინანსური კრიზისია, ამიტომ დღეს აქტუალურია, გაუძლებს თუ არა უკრაინა ამ ეკონომიკურ კრიზისს. უკრაინაში გრივნას გაუფასურება რეკორდულ ნიშნულებს აღწევს.

— შესაძლოა, დასავლეთი უკრაინას ფინანსურად დაეხმაროს, მაგრამ კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება დასავლეთის მიერ უკრაინისთვის იარაღის მიწოდების საკითხი. დასავლეთი უკრაინას იმ შემთხვევაშიც არ მიაწვდის იარაღს, თუ რუსეთმა უკრაინაში საომარი მოქმედებები გააგრძელა?

— უკრაინისათვის იარაღის მიწოდების მოწინააღმდეგეები არიან ევროპის ქვეყნების ლიდერები და პრეზიდენტი ობამა. ობამასაგან განსხვავებით, აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ძალიან ბევრია მომხრე, რომ ვაშინგტონმა უკრაინას იარაღი მიაწოდოს. ჩემი აზრით, ყველაფერი მაინც დასავლეთის მიერ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებით დამთავრდება. ახლა საკითხი მხოლოდ ასე დგას — ეს უახლოეს მომავალში მოხდება, თუ ცოტა უფრო გვიან, როცა რუსეთის ქმედებების გამო უკრაინაში ვითარება კვლავაც დაიძაბება.

ჩემი აზრით, ამ საკითხში ობამას, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატის პოზიცია ასეთია — იგი ამ ნაბიჯზე მხოლოდ მაშინ წავიდეს, როცა ვერავინ ვერ დაძრახავს, ანუ, გადადგას ეს ნაბიჯი მაშინ, როცა ამის აუცილებლობა ყველასათვის ცხადი იქნება. ეს დრო რომ დადგება, არავის ეჭვი არ ეპარება.

— ყველა ამ მოვლენის ფონზე, საქართველოს შიდა პოლიტიკაშიც საინტერესოდ ვითარდება პროცესები. მოსკოვიდან როგორ ჩანს უკანასკნელ პერიოდში ქართულ პოლიტიკაში განვითარებული პროცესები?

— მოსკოვიდან მხოლოდ უკრაინა ჩანს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსული პოლიტიკაც გაუქმებულია. აქ ყველაფერი უკრაინაზეა კონცენტრირებული. მთელი რუსული პოლიტიკა უკრაინითაა დაკავებული.

ჩემი დაკვირვებით, ამ პროცესების ფონზე რუსულ პოლიტიკაში საქართველო საერთოდ არ ჩანს და ეს ძალიან კარგია. თუ საქართველო რუსეთის ყურადღების ფოკუსში მოექცა, ჩემი აზრით, ეს საქართველოსთვის ცუდი იქნება.

— ანუ, ახლა ჩვენი ამოცანა რუსული პოლიტიკის ფოკუსში არმოხვედრაა? სწორად გავიგე?

— დიახ. სწორედ ასეა.

— ჩვენთან ოპოზიცია ხელისუფლებას იმას საყვედურობს, რომ ოფიციალური თბილისი მოსკოვთან მიმართებაში კომპრომისულ ნაბიჯებს დგამს. გამოდის, რომ ამგვარი პოლიტიკა გარკვეულწილად მომგებიანია?

— ოპოზიცია გულისხმობს იმას, რომ საქართველო ჯეროვნად არ უჭერს მხარს უკრაინას. გარდა ამისა, ჩემი აზრით, ქართული ოპოზიცია შიშობს, რომ მოსკოვთან ტექნიკურ საკითხებზე მოლაპარაკებებში პოლიტიკური დათმობებსაც ექნება ადგილი. იმის ალბათობა, რომ მოსკოვთან ტექნიკურ საკითხებზე მოლაპარაკებების პროცესში მოხდეს ოფიციალური თბილისის მხრიდან გარკვეულ პოლიტიკურ დათმობებზე წასვლა, ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია. ფაქტია, რომ კრემლს საქართველოსთან მოლაპრაკებებისათვის საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს. მეტიც, უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ დიპლომატიური არხებით მოსკოვის მხრიდან საქართველოზე ზეწოლა საკმაოდ დიდი იქნება.

— იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში პროცესები სწრაფად არ დასრულდება, რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლის პოლიტიკა ხანგრძლივ პერიოდზე იქნება გათვლილი, თუ საკმაოდ მოკლე დროში ვარაუდობენ კრემლში საქართველოსთან მიმართებაში პოზიციების გარკვევას?

— ჩემი აზრით, რაც უფრო გამწვავდება უკრაინაში ვითარება, მოსკოვის მხრიდან თბილისზე ზეწოლა მით მეტი იქნება. შესაბამისად, თუ რუსეთს საქმე უკრაინაში მთლად კარგად არ ექნა, ეს ზეწოლაც შესაბამისად ნაკლები იქნება. ჩემი აზრით, საქართველოსთვის რუსეთთან მიმართებაში ქცევის საუკეთესო გამოსავალი იმ ვითარებაში გაყინვაა, როგორშიც ახლაა. საქართველოს არანაირი რესურსი და ინსტრუმენტები არ აქვს იმისათვის, რომ რუსეთის მიმართულებაზე დასავლეთთან ერთად, ანაც მარტო წარმატებულად და ეფექტურად იმოქმედოს.

კობა გენდელიანი

◎ ალიან-ჩალიანი

თუ საქართველო მზად არის, ვიზების ლიბერალიზაცია უნდა მივანიჭოთ

ამის შესახებ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედგარს რინკევიჩმა ბრიუსელში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„როდესაც ჩვენ განვიხილავთ აღმოსავლეთ პარტნიორობთან თანამშრომლობას, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან ურთიერთობას, რომლებმაც ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება გააფორმეს და რომლებიც მუშაობენ ვიზა ლიბერალიზაციის მისაღებად, საკუთარ თავსა და პარტნიორებს, მათ შორის, საქართველოს ყოველთვის ვახსენებთ, რომ უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით — მეტი უფრო მეტისთვის.

თუ ვიზების ლიბერალიზაციისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებული იქნება, თუ იქნება ევროკომისიის პოზიტიური შეფასება, რომელსაც საკმაოდ მალე ველოდებით, მაშინ ჩვენ უნდა მივანიჭოთ საქართველოს ვიზების ლიბერალიზაცია", — განაცხადა რინკევიჩსმა.

პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ გასაჯაროებისთვის დაჯარიმდნენ

როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში" აპარატის 2014 წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციისას განაცხადა, გასულ წელს სამი საჯარო ორგანიზაცია: საქართველოს პროკურატურა, შს სამინისტრო და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო დაჯარიმდნენ.

თამარ ქალდანის განმარტებით, პროკურატურა და სასჯელაღსრულების სამინისტროები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების კანონიერი საფუძვლის გარეშე გასაჯაროებისთვის 1 000-1 000 ლარით დაჯარიმდნენ, ხოლო შს სამინისტრო გაუფრთხილებლობით მესამე პირისთვის მონაცემების გამჟღავნებისთვის 500 ლარით დაჯარიმდა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინფორმაციით, პროკურატურამ გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა აღნიშნული საქმე მოიგო.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აშშ და „ვარდების რევოლუცია“

საქართველოს შესახებ უცხოეთის სახელმწიფოების მასობრივი ინფორმაციის წამყვანი საშუალებების მიერ 17 მარტს გამოქვეყნებული მასალების მთავარი თემა, შეიძლება ითქვას, საქართველოს საშინაო პოლიტიკური მდგომარეობაა. პუბლიკაციებში, კერძოდ, განხილულია ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთდამოკიდებულება, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია ყოფილი მმართველი ძალის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ 21 მარტს დაგეგმილი საერთო ეროვნული აქციის ფონზე. ნაციონალთა რევანშისტული მიზნების კონტექტსში საინტერესოა ცნობილი ამერიკელი დიპლომატის მიერ გახსენებული 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“, ჩვენი აზრით, დღემდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დეტალებიც...

მაშ ასე, რა ხდება საქართველოში?

მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას აჭარიდან ეპოტინება

რუსეთის პრესის ერთ-ერთი ფლაგმანში – გაზეთ **„კომერსანტში“**, გამოქვეყნებულია სტატია, რომელშიც აჭარაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციაა მიმოხილული, კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ აჭარის უმაღლესმა საბჭომ მნიშვნელოვანი და მიმანიშნებელი გადაწყვეტილება მიიღო: მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ვიცე-სპიკერი დავით ბაციკაძე თანამდებობიდან გადააყენა და მის ნაცვლად, ახალ ვიცე-სპიკერად, ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ჯემალ ფუტკარაძე აირჩია. აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილის პარტიის გავლენის გაძლიერების პროცესი 21 მარტს ნაციონალების მიერ დაგეგმილი საერთო ეროვნული საპროტესო აქციის წინ მიმდინარეობს.

საინტერესოა, რომ აჭარაში სიტუაციის განვითარება ნაციონალების სასარგებლოდ თებერვლის ბოლოდან გახდა შესამჩნევი, როცა ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოში არსებული „ქართული ოცნების“ ფრაქცია რამდენიმე დეპუტატმა დატოვა. სხვათა შორის, „დისიდენტებს“ მხარი დაუჭირეს ცენტრიდანაც, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მურმან დუმბაძემ, რომელმაც „ქართული ოცნების“ მთავრობა ავტონომიურ რესპუბლიკაში დაგროვილი პრობლემების იგნორირებაში დაადანაშაულა.

საყურადღებოა, რომ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში მყოფი გუნდი, კერძოდ, აჭარის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე ყურადღებით აკვირდება აჭარაში მიმდინარე მოვლენებს, ყველაფრის საქმის კურსშია და უფრო მეტიც – კიევში აჭარის უმაღლესი საბჭოს ნაციონალ დეპუტატებსაც ხვდება ხოლმე.

„ქართული ოცნების“ ხელმძღვანელებმა აჭარის უმაღლეს საბჭოში მომხდარი საკადრო ცვლილებები უკანონოდ მიიჩნიეს, ხოლო თვით აჭარელი დეპუტატების მოქმედება „ავანტიურიზმად“ და „დილეტანტობად“ შეაფასეს. **„ჩვენი პარტიის ყოფილმა წევრებმა სინდისს უღალატეს და მიხეილ სააკაშვილის ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მიემხრნენ“,** – განაცხადეს მმართველ კოალიციაში. ამასობაში კი მურმან დუმბაძე არ გამორიცხავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სპიკერი ავთანდილ ბერიძე და ადგილობრივი მთავრობის თავმჯდომარეც, ალბათ, დავით ბაციკაძის ბედს გაიზიარებენ და თანამდებობებს გამოემშვიდობებიან.

და თუ მართლაც ასე მოხდება, აჭარაში ხელისუფლების ვაკუუმი გაჩნდება, რაც წყალს მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანამოაზრეების წისქვილზე დაასხამს, თანაც 21 მარტს დაგეგმილი აქციის წინ... ქართული მასმედიის ცნობით, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, თანაპარტიელების მხარდასაჭერად, განზრახული აქვს, საქართველოს საზღვართან ახლოს მოვიდეს (თურქეთის მხრიდან) და მომიტინგეებს იქიდან გამოუცხადოს სოლიდარობა. აღსანიშნავია, რომ ნაციონალთა საპროტესტო აქცია აჭარის ავტონომიის დედაქალაქ ბათუმშიც უნდა გაიმართოს.

რიჩარდ მაილსი იხსენებს...

ძალთველ **საზოგადოებას კარგად ახსოვს თითქმის 11 წლის წინათ საქართველოში მომხდარი დრამატული მოვლენები, რომელიც მოგვიანებით „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა ისტორიაში. „რევოლუციამ“ ქვეყანას ბევრი სიახლე მოუტანა, თუმცა, ეს ნოვაციები უფრო მეტად ნეგატიური მოვლენებში გამოიხატა, ვიდრე პოზიტიურში. 2003 წლის შემოდგომაზე განვითარებულმა პოლიტიკურმა პერიპეტიებმა, ბევრის აზრით, ქვეყანა დემოკრატიას აზიარა, უფრო მეტი კი მიიჩნევს, რომ 2003 წლის ბოლოდან ქვეყანაში დემოკრატიული ლოზუნგებით, ავტორიტარული რეჟიმის დამყარება დაიწყო.**

რა თქმა უნდა, იმდროინდელ პოლიტიკურ მღელვარებას ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც აკვირდებოდნენ...

16 მარტს ყირგიზეთის ყოველდღიურ გაზეთ „ვეჩერნი ბიშკეკში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოში აშშ-ის იმდროინდელ ელჩ რიჩარდ მაილსთან, რომელიც ამჟამად ვაშინგტონის ინტერესებს ყირგიზეთში იცავს. ამერიკელმა დიპლომატმა გაიხსენა საქართველოში თავისი დიპლომატიური სამსახური და საკმაოდ საინტერესო ამბები მოჰყვა.

გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

„მე ელჩად ვიყავი საქართველოში იმ დროს, როცა იქ „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. ამაზე საკმაოდ ბევრი დაიწერა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზეც. რის გაკეთებას ვცდილობდით იმ დღეებში? ჩვენ გვსურდა, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს დემოკრატიული არჩევნები ჩაეტარებინა. ეს მოხდა 2003 წელს.

ედუარდ შევარდნაძესთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, ამერიკელი გადასახადის გადამხდელების ძალიან ბევრი ფული დავხარჯეთ, რომ საქართველოში არჩევნების პატიოსნად ჩატარების მიზნით ტრენინგები ჩაგვეტარებინა, საარჩევნო სისტემა გაგვეუმჯობესებინა და ა.შ.

თბილისში ვაშინგტონიდან სპეციალურად ჩამოვიდა ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. საუბრის დროს განიხილეს არჩევნების თავისუფლად და დემოკრატიულად ჩატარების საკითხები. სხვათა შორის, ისინი კარგი მეგობრები იყვნენ. შევარდნაძეც აცნობიერებდა სიტუაციას, მან თვითონ უთხრა ბეიკერს, რომ თბილის-ვაშინგტონის ურთიერთობა ბევრად იქნებოდა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩატარდებოდა საპარლამენტო არჩევნები. ისინი ერთმანეთს კარგად უგებდნენ. ამის მიუხედავად, არჩევნების შედეგები გაყალბდა, რაღაც მანიპულაციები განხორციელდა ხმების დათვლის დროს. დემოკრატიული ოპოზიციის წარმომადგენლებმა – მიხეილ სააკაშვილმა (იმ დროს იგი პოლიტიკური ბლოკის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი იყო), პარლამენტის იმდროინდელმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ და ზურაბ ჟვანიამ (პარლამენტის ექსთავმჯდომარემ და ბლოკ „გაერთიანებული დემოკრატების“ ხელმძღვანელმა) საპროტესტო აქცია დაიწყეს.

ჩვენ ედუარდ შევარდნაძეს ალტერნატიული გადაწყვეტილება შევთავაზეთ: ან გამოეცხადებინა არჩევნები არშემდგარად და მოგვიანებით ხელახლა ჩაეტარებინა, ანდა გაეუქმებინა არჩევნები იმ ოლქებში, სადაც დარღვევები აშკარა იყო. ედუარდ შევარდნაძემ რატომღაც გადაწყვიტა, რომ მას შეეძლო ეს რიფები გადაეცურა. ამ დროს მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა... და ამ მოწოდებას ამომრჩევლებმა და დემონსტრანტებმა მხარი დაუჭირეს.

ამერიკულ მხარეს მსგავსი არაფერი არ შეუთავაზებია. შევარდნაძის გადადგომის იდეა არ ჰქონია არც ნინო ბურჯანაძეს და არც ზურაბ ჟვანიას, ეს სუფთა მიხეილ სააკაშვილის გამოგონება იყო. ამ იდეამ მომიტინგეთა გონება დაიპყრო, დემონსტრაცია თანდათან ფართოვდებოდა. რა უნდა გამეკეთებინა ამ სიტუაციაში? მე ხან ერთ პოლიტიკოსს ვხვდებოდი, ხან მეორეს – როგორც ხელისუფლებიდან, ასევე ოპოზიციიდან და ყველას ვარწმუნებდი, რომ ცვლილებები ძალისმიერი მეთოდებით არ უნდა მომხდარიყო.

იგივე პრინციპის ერთგულნი დავრჩით მაშინაც, როცა თბილისში რუსეთის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა (იგორ ივანოვმა –რედ.) მოილაპარაკა აშშ-ის სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან. მხარეთა შესახვედრად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ოფისი შეირჩა. სხვათა შორის, პატრიარქმა პოზიტიური პოლიტიკური როლი შეასრულა „ვარდების რევოლუციის“ დროს.

უფრო მეტიც – ბატონმა კოლინ პაუელმა ისიც კი თქვა, რომ თუ საჭირო იქნება, ამერიკის საელჩოთიც შეიძლება ისარგებლოთო, მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ მოულოდნელად გადადგომა თვითონ გამოაცხადა. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ ჩვენ მიხეილ სააკაშვილისა და საქართველოს ახალი მთავრობის მხარდაჭერა. აი, ასეთია „ვარდების რევოლუციის“ ისტორია, რომლის ავტორი თავიდან ბოლომდე მხოლოდ ქართველი ხალხი იყო.

თბილისში მყოფი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი ხშირად ესაუბრებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს ვაშინგტონში, იყო სატელეფონო საუბრები მოსკოვსა და ვაშინგტონს შორისაც, მეც ხშირად ვხვდებოდი რუსეთის ელჩს თბილისში, ერთმანეთს ვატყობინებდით ყველაფერს, რაც ხდებოდა. იმ პერიოდში ჩვენ რუსებთან არანაირი საიდუმლოებები არ გვქონდა.

რა გზით წავიდოდა საქართველო, ჩვენ რომ არაფერი გაგვეკეთებინა? ამ კითხვაზე პასუხი ძნელია, მაგრამ ზოგადად გეტყვით, რომ ყველაფერი შეიძლებოდა ცუდად დასრულებულიყო. საზოგადოებაში დაძაბულობა უმაღლეს დონეს აღწევდა. რაც ყველაზე მთავარია, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებას მაშინ არ გააჩნდა ისეთი არასასიკვდილო იარაღი, რომლითაც მომიტინგეთა დამშვიდება შეიძლებოდა. მათ ჰქონდათ მხოლოდ „დუბინკები“ და პისტოლეტ-ავტომატები, მეტი არაფერი. არ ჰქონდათ ცრემლმდენი გაზი ან წყლის ძლიერი ჭავლის მიმშვები დანადგარები... და ეს ედუარდ შევარდნაძის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა, მთავარი მაინც ერთი რამ იყო: მას არ სურდა იმის აღიარება, რომ რაღაც არასწორად გააკეთა.

მე უფრო საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მაღელვებს, რადგან რუსეთთან მომხდარი 2008 წლის ომის შემდეგ ინვესტიციების მიზიდვა ძალიან რთული გახდა. სახელმწიფოში, სადაც ასეთი ღრმა ცვლილებები ხდება, ეკონომიკის აღორძინება ძალიან ძნელია. ჩვენ საქართველოს ვთავაზობთ ხელშეწყობას, ევროკავშირიც სთავაზობს, არიან სხვა ქვეყნებიც, რომლებიც თბილისს ეხმარებიან. არ ვიცი, როგორია ამჟამად საქართველო-რუსეთის ვაჭრობის მოცულობა, რადგან თავის დროზე მოსკოვმა საქართველოს ემბარგო დაუწესა, ღვინისა და მინერალური წყლის იმპორტი აკრძალა. საქართველოსთვის კი რუსეთთან ვაჭრობა ძალიან მნიშვნელოვანია.

იცით, მე არ ვფიქრობ, რომ ბატონი ვლადიმირ პუტინი საბჭოთა კავშირის აღდგენას ესწრაფვის. უბრალოდ, იგი ცდილობს, რომ გააუმჯობესოს და განამტკიცოს რუსეთის კავშირები მის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებთან. ჩემი აზრით, მას საქართველოსთან მიმართებაშიც არ ჰქონდა საბჭოთა კავშირის აღორძინების განზრახვა, რაც მოხდა, ეს მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საკითხი იყო. არ ვფიქრობ, რომ მსოფლიოს რომელიმე სახელმწიფოს, ვთქვათ, ყაზახეთის სუვერენიტეტის შელახვა სურს.

ყოველ სახელმწიფოს, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობა აქვს, კარგად უნდა ესმოდეს, რაში გამოიხატება ამ უდიდესი ქვეყნის ინტერესები. მე, მაგალითად, როცა საქართველოში ვმუშაობდი, არც ერთხელ არ ამიხსნია ეს ედუარდ შევარდნაძისათვის. აი, რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მას ხშირად ვეუბნებოდი, ვუხსნიდი, ვურჩევდი, მაგრამ მაინც ვერ გაიგო. ჩემთვის მისი მოტივაცია დღემდე უცნობია“.

მიხეილ სააკაშვილი: გამარჯობა, იარაღო?

ამერიკელმა პოპულარულმა საინფორმაციო გამოცემამ **„ბლუმბერგმა“** 16 მარტს გამოაქვეყნა ინტერვიუ მიხეილ სააკაშვილთან, რომლის მოკლე შინაარსს გთავაზობთ:

„საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მის მცდელობებს, დაარწმუნოს ამერიკელი პოლიტიკოსები უკრაინისათვის იარაღის მიწოდების საჭიროებაში, შედეგი მოაქვს: პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე ორივე პარტიისაგან ზეწოლა ძლიერდება.

„მჯერა, რომ შეერთებული შტატები უკრაინას იარაღს მიაწოდებს“, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მრჩეველია. **„მე იმედს მაძლევს ის ფაქტი, რომ ამერიკულ საზოგადოებას და პოლიტიკური ელიტას ამ საკითხთან მიმართებით ერთნაირი პოზიცია აქვთ. ამ იდეას კონგრესშიც და სენატშიც თითქმის ყველა მხარს უჭერს, ეს სურთ პენტაგონშიც და სადაზვერვო უწყებებშიც“,** – განმარტა პოლიტიკოსმა.

მიხეილ სააკაშვილმა დაიჩივლა, რომ 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს „ხუთდღიანი ომის დროს“, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა მოსკოვს ადეკვატური პასუხი არ გასცეს. საქართველოს ექსპრეზიდენტი, რომელიც NATO-ში თავისი ქვეყნის გაწვრიანებას ესწრაფვოდა და რომელმაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომის პროვოცირება მოაწყო, დღეს ამერიკელ კანონმდებლებთან უკრაინისათვის მომაკვდინებელი იარაღის მიწოდების საკითხს ლობირებს.

მიხეილ სააკაშვილის აზრით, რუსეთი, ალბათ, მალე ომს დაიწყებს, ამიტომ უკრაინა ამისათვის მზად უნდა იყოს, კიევისათვის იარაღის მიწოდება საჩქარო საკითხია. **„რუსეთი, სავარაუდოდ, უკრაინის სამხრეთს დაარტყამს, იარაღის მიწოდება სასწრაფოდ იქნება საჭირო, სამშვიდობო შეთანხმება არ მოქმედებს“,** – ხაზი გაუსვა მან.

გასულ კვირას ვაშინგტონში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი იმყოფებოდა. მისი მიზანი იყო იმ ზეწოლის განეიტრალება, რომელიც კანონმდებლების მხრიდან აშშ-ის მთავრობაზე ხორციელდება, უკრაინისათვის იარაღის მიწოდების მიზნით. ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის თქმით, უკრაინის ხელისუფლებასა და დონბასელ ამბოხებულებს შორის ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრული ამოქმედებისათვის დრო არის საჭირო.

„ამერიკელები და უკრაინელები ახალი დაპირისპირებისათვის ემზადებიან... თუ ვაშინგტონი კიევს იარაღს მიაწვდის, ამით რუსეთს ომში ჩაითრევს, რომელიც ხანმოკლე და ძალიან სისხლისმღვრელი იქნება. რა თქმა უნდა, ომში რუსეთი გაიმარჯვებს“, – განაცხადა ინტერვიუში რუსმა პოლიტოლოგმა კონსტანტინე მალოფეევმა.

მოამზადა სიმონ კილაძემ,
„რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა

დედამიწის ზურგზე

ისრაელში სტარტი აიღო კნესეტში რიგგარეშე არჩევნებმა: ნეთანიაჰუს უნინასწარმეტყველებენ გაღადგომას ან გავლენის დაკარგვას

ამ არჩევნებზე უნდა გადაწყდეს საკითხი პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ნდობის შესახებ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მისთვის დანაკარგები გარდაუვალია – იგი ან დაემშვიდობება მთავრობის მეთაურის სავარძელს, ან დაკარგავს გავლენას, როდესაც კოალიციაში შევა. გამოკითხვის თანახმად, მმართველი პარტია „ლიკუდი“ აგებს მემარცხენე ცენტრისტულ ბლოკ „სიონისტურ ბანაკთან“.

უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო პოლონეთის პრეზიდენტმა უარი განაცხადა მოსკოვში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობაზე

ბრონისლავ კომოროვსკიმ თავისი გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში. „არ არის ისეთი შესაძლებლობა, რომ შექმნილ სიტუაციაში პოლონეთის პრეზიდენტი მონაწილეობას ღებულობდეს დღესასწაულში და თვალყური ადევნოს გამარჯვების აღლუმს“ „უკრაინაში მიმდინარე ომის“ პირობებში, მოჰყავს პრეზიდენტის სიტყვები ტასს.

სანქციები, რომლებიც შემოიღო აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ ყირიმის გამო, იმოქმედებს, სანამ ნახევარკუნძული არ გახდება უკრაინის ნაწილი, განაცხადეს სახელმწიფო დეპარტამენტში

„ჩვენ ვადასტურებთ, რომ სანქციები, რომლებიც შეეხება ყირიმს, დარჩება ძალაში მანამდე, სანამ გაგრძელდება რუსეთის მიერ ნახევარკუნძულის ოკუპაცია“, ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ჯემ პსაკის წერილობით განცხადებაში. „ჩვენ არ ვაღიარებთ და არც მომავალში ვაპირებთ ვაღიაროთ რუსეთის მცდელობა, მოახდინოს ყირიმის ანექსია“, – მიუთითა ქალბატონმა.

ბოლივიაში ავტობუსი უფსკრულში გადაიჩეხა, დაიღუპა სულ ცოტა 12 კაცი

ინციდენტი მოხდა ქვეყნის სამხრეთში ჩუკისაკის დეპარტამენტში. სულ სატრანსპორტო საშუალებაში 18 კაცი იმყოფებოდა. ავარიის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. მსხვერპლთა შორის 3 ბავშვია – ერთი მათგანი ორი წლისაა, მეორე– შვიდი წლის. ასევე დაიღუპა პატარა, რომლის ასაკიც 3-დან 5 თვემდე იყო.

ყველას გრძელ ტელომერებს გისურვებთ!

ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდა ბევრ ქვეყანაში ხორციელდება, რის შედეგად ხალხი ფიზიკურ დატვირთვებს გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს. ამერიკის შეერთებული შტატების კაროლინის ინსტიტუტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ფეხზე დგომა, შესაძლოა, სპორტულ ვარჯიშზე უფრო მეტი სარგებლის მომტანი იყოს! სიცოცხლისთვის ყველაზე სახიფათო კი ცხოვრების მჯდომარე წესია, იტყობინება გაზეთი „დეილი მეილი“.

გამოკვლევაში 65 წელს გადაცილებულმა ჭარბი წონის მქონე 49 კაცმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა ფიზიკური აქტივობა ძალიან დაბალი იყო. პროგრამაში მონაწილეთა ნახევარი ექვსი თვის მანძილზე ვარჯიშობდა – ფიზიკური დატვირთვის ოდენობას მეცნიერები დღიურისა და ნაბიჯების მზომელის მეშვეობით აკონტროლებდნენ, რომელიც აღნუსხავდა, თუ რამდენ ნაბიჯს დგამდა დღის მანძილზე თითოეული მოხალისე. ამავე დროს მკვლევარები იმასაც აღნუსხავდნენ, თუ რამდენ დროს ატარებდნენ ექსპერიმენტის მონაწილენი მჯდომარე.

ცნობილია, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდადაა დამოკიდებული უჯრედებში ქრომოსომების ბოლოებზე განთავსებული ტელომერების სიგრძეზე: ტელომერები ანელებენ დაბერების პროცესს, თავიდან გვაცილებენ ქრომოსომების ცვეთასა და შეწებებას, ასევე გენეტიკური კოდის შეცვლას. იმის მიუხედავად, რომ, ჩვეულებრივ, ის ხალხი, ვინც ვარჯიშობს, უფრო ჯანმრთელია, **ტელომერების დაგრძელების პროცესი იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რამდენ დროს ატარებს კაცი მჯდომარედ. რაც უფრო ცოტა დროს იჯდა კაცი, მით უფრო გრძელი ტელომერები და, მაშასადამე, უფრო დიდ ხანს ცხოვრების შანსი აქვს.**

მხოლოდ მშობლიურ ენაზე

ლატვიაში სამსახურში მოწმეების თანდასწრებით... რუსულად ლაპარაკი აკრძალეს.

ქვეყნის სახელმწიფო ენის ცენტრმა მოსახლეობისადმი მიმართვა გაავრცელა, რომლითაც სამუშაო ადგილებზე ლაპარაკს მხოლოდ ლატვიურად მოითხოვს. განსაკუთრებით ეს მოთხოვნა მომსახურების სფეროს – მაღაზიების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ოფისებისა და დაწესებულებათა თანამშრომლებს ეხებათ. ახალი წესების თანახმად, თუკი თანამშრომელთა ურთიერთობა სხვებს ესმით, ეს იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრები, კაფეებისა თუ რესტორნების კლიენტები, მაღაზიებში მყიდველები და სხვ., ასეთი ურთიერთობა ოფიციალურის სტატუსს იძენს, ამიტომაც მხოლოდ ლატვიურ ენაზე უნდა ხორციელდებოდეს.

ბატების გუშაგობა

იაპონიაში იხვების სამსახურებრივი მოვალეობა საწარმოს მცველობაა!

მათი მუშაობის ადგილი კანადის ონტარიოს პროვინციაში ქალაქ უინდემირის მახლობლად ფოლადჩამოსასხმელი ქარხანაა, დამსაქმებელი კი – კანადის ველური ბუნების დაცვის სამსახურია. იხვები ქარხნის ტერიტორიაზე ბალახს კიკნიან და, ამავდროულად, დაბინძურების ინდიკატორები არიან. ფრინველებს რეგულარულად სინჯავენ და მოწამვლის პირველსავე ნიშნებზე ჰაერის, ნიადაგისა და წარმოების ნარჩენების განწმენდის საჭირო ზომებს იღებენ. პრაქტიკამ აჩვენა, რომ დაბინძურებულ ტერიტორიაზე მხოლოდ თვენახევრის მუშაობის შემდეგ, იხვების ორგანიზმში ტყვიისა და პოლიქლორბიფენილების შემცველობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს, რაც განგაშის „წითელი შუქის“ ანთებას ნიშნავს.

„მე და შენ ერთი სისხლისანი ვართ“...

ხომ გახსოვთ რედიარდ კიპლინგის უკვდავი „ჯუნგლის წიგნის“ დაუვიწყარი მაუგლისა და ტყის ბინადრებთან ერთმანეთთან დამეგობრების რიტუალური ფრაზა: „მე და შენ ერთი სისხლისანი ვართ!“? ძნელი სათქმელია, თუ რამდენად იმეორებენ ამ „ფორმულას“ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ის ადამიანები, ვინც თავიანთ წინაპრებივით კვლავაც ბუნების წიაღში ცხოვრობენ, მაგრამ გარეულ ცხოველებთან გასაოცარ ურთიერთობებს რომ ამყარებენ, ამის არაერთი ფაქტი არსებობს.

უკვე ოთხი ათეულ წელზე მეტია, რაც აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ტბის ჩადის ბეჰემოტები სანაპირო დასახლების ზაქუმას მკვიდრებთან მეგობრობენ. მათ შორის ადამიანებს ყველაზე მეტად ერთი ბებერი მდედრი დაუახლოვდა. ერთ დროს ადამიანებთან ის თავის „ქმართან“ ერთად მიდიოდა, მაგრამ მერე „ვიზიტები“ მარტოკამ განაგრძო. ყოველ დილით ცხოველი ნაპირზე გამოდის და მომთხოვნად ყბას აფჩენს. ბიჭუნებს მისთვის ბალახი და სხვადასხვა ხილი მიაქვთ, შემდეგ კი ბეჰემოტის ზურგზე შემსხდრები ტბაში სეირნობენ, მერე კი ვილოს – ასე ჰქვია ცხოველს, უზარმაზარ ყვითელ ეშვებს დახვეული ბალახებით უწმენდავენ.

ცნობილია კიდევ ასეთი შემთხვევა: ადამიანი გინეასთან მეგობრობდა. ლაქებიანი მტაცებელი ღამ-ღამობით ერთ ადგილას მოდიოდა და ხორცს პირდაპირ გლეხის ხელიდან ჭამდა. ასე რვა წელი გრძელდებოდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ცხოველს აგრესიულობა გამოეჩინოს!

მაგალითისათვის კიდევ სამხრეთამერიკულ სელვაში **(წვიმიან ტროპიულ ტყეში – რედ.)** ადგილობრივი ინდიელები თავიანთ ჩვილებისა და სურსათის საყარაულოდ... პითონებს ტოვებენ! ციმბირში კი მეტროსადგურ „სტოლბის“ თანამშრომელ ქალს დაუმეგობრდა ფოცხვერი – თავისი სახელის გარდა დაძახებაზე ცხოველი ტაიგიდან გამორბოდა და „პატრონთან“ ერთად სეირნობდა.

იბანაონ, ოღონდ არ იყვინთაონ!

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლუიზიანის შტატის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემაში, სიცოცხლისთვის უაღრესად საშიში მიკროორგანიზმები აღმოაჩინეს. ამება Naegleria-ს ახალი სახეობა ქალა ტვინისა და მიმდებარე გარსების ანთებას იწვევს.

ადამიანი წყალსაცავებში ბანაობის დროს ავადდება – მიკროორგანიზმები ქალა ტვინში აღწევენ დაბინძურებული წყლის ცხვირში მოხვედრის გზით, რის შედეგად ხშირია სიკვდილიანობა. ამება წყალმომარაგების სისტემაში აღმოაჩინეს, რომლითაც 13 ათასი კაცი სარგებლობს.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასიკვდილო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებამ წყლის ქლორირების პროცესის გაძლიერების გადაწყვეტილება მიიღო. ეს წყლის სუნსა და გემოს დიდად გააფუჭებს, სამაგიეროდ თავის ტვინს ანთებისგან დაიცავს.

ლუიზიანის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარი ექიმის განცხადებით, ხალხს თავის დაცვა იმითაც შეუძლია, რომ წყალსაცავებში ბანაობისგან თავი შეიკავონ ანდა მთლიანად ნუ ჩაყვინთავენ, რათა წყალი ცხვირში არ შეუვიდეთ.

კურორტები სამთო გამონამუშევრებში

როგორ შეიძლება ქვანახშირის, ქამარილისა და სხვ. გამომუშავებული შახტებისა და შტრეკების გამოყენება? – ეს კითხვა მეტად აქტუალურია დედამიწის ბევრ რეგიონში, სადაც ისინი არსებობენ.

ზოგიერთ მათგანში შამპინიონების მოსაშენებელ მეურნეობებს მართავენ, ქვამარილის გამომუშავებულ სამთო გამონამუშევრებში კი სამკურნალო მიკროკლიმატის მქონე კურორტებს აწყობენ, სხვაგან ტურისტები დაჰყავთ, რომლებსაც უჩეულო სანახაობები იზიდავს, რომლებსაც მიწის წიაღში ნახულობენ.

გერმანიის ქალაქ ჰერინგენის მახლობლად კი ქვამარილის მიტოვებულ სამთო გამონამუშევრებს ეკოლოგიური თვალსაზრისით უფრო პრაქტიკულად იყენებენ. მდინარე რეინის ნაპირზე სამთო მასივებში, 700 მეტრის სიღრმეზე მრეწველობის მყარ ნარჩენებს ინახავენ. ძველ შახტებში ათიათასობით ტონა დაპრესილი ნაგავი და დანალექი დამბინძურებელი შეიტანეს. გეოლოგთა აზრით, ძველი სამთო გამონამუშევრები ამ მიზნით საუკეთესო ადგილებია, რადგან საკმაო სიღრმეც აქვთ, მშრალები არიან და გეოლოგიურადაც მდგრადნი.

◎ ძიუდო

„დიდი პრიზი“ — სპორტის სასახლეში

ორიოდე დღეც და, თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა დიდი პრიზის გათამაშებაზე უძლიერესი ფალავნები მოიყრიან თავს. ტურნირთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა. მასმედიის წარმომადგენლებს ინფორმაციები სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა და ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა მიაწოდეს.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარებულია და შეჯიბრებაზე დასწრება უფასო იქნება. ჩვენი მოჭიდავეებისთვის ეს ასპარეზობა მოსამზადებელი ეტაპია წლეულს ევროპის ჩემპიონატთან გათანაბრებული კონტინენტის პირველი თამაშებისთვის. ნაკრები ამჟამად დუშეთში იმყოფება დასკვნით შეკრებაზე. მისი თითოეული წევრი მონდომებით ემზადება ტურნირისთვის, რომელიც სოლიდურ ქულებს იძლევა სალიცენზიო რეიტინგისთვის: გამარჯვებული 300 ქულას დაიმსახურებს, ვერცხლის მედალოსანი — 180-ს, ბრინჯაოს პრიზიორი — 120-ს, მეხუთე ადგილოსანი — 60-ს, მეშვიდეზე გასული — 48 ქულას. ასევე, სოლიდურია ტურნირის საპრიზო ფონდიც — 100 000 დოლარი. ჩემპიონი 3000 დოლარით (2400 — სპორტსმენს, 600 — მწვრთნელს), მეორე და მესამეადგილოსნები, შესაბამისად, 2000 (1600+400) და 1000 დოლარით (800+200) დაჯილდოვდებიან. საბედნიეროდ, წლევანდელ შეჯიბრებაზე გაიზარდა სპონსორთა რაოდენობა — შარშანდელ „მეღვინეობა ხარებასა“ და „სნოს“ რამდენიმე კომპანია დაემატა.

ბოლო მონაცემებით, ოფიციალურად უკვე დარეგისტრირებულია 45 ქვეყნის 367 სპორტსმენი (216 ვაჟი და 151 ქალი). თბილისის ტურნირს გამოტოვებს ჰოლანდიიდან გადმობირებულ ესტერ სტამი (70), რომელსაც ხელის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდი ჯერ არ დაუსრულებია. მის ნაცვლად ირინე ლეონიძე (+78) იჭიდავებს. შეჯიბრება სამივე დღეს სპორტის სასახლეში 10 საათზე, ფინალური ბლოკი კი 17 საათზე დაიწყება. პარასკევს ვაჟებიდან 60, 66, ქალებიდან კი 48, 52 და 57 კილოგრამი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ. შაბათს ვაჟები 73 და 81, ხოლო ქალები 63 და 70 კილოში იბრძოლებენ მედლებისთვის, ასპარეზობის დასკვნით დღეს — კვირას კი ტატამზე 90, 100 და მძიმე წონის ვაჟები, 78 და +78-ის ქალები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ლეძსო ციწცაძე

◎ ხელბურთი

რეპეტიცია ტრაბზონში

20-22 მარტს ქუთაისში საქართველოს, ნორვეგიის, ჰოლანდიისა და ლიტვის ხელბურთელ გოგონათა ნაკრები გუნდები 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის იბრძოლებენ. ამავე რიცხვებში თურქი გოგონებიც ჩაებმებიან მსგავს ტურნირში, ოღონდ რუმინეთში. ოფიციალური ასპარეზობების წინ საქართველოს გოგონათა ნაკრები ტრაბზონში გაემგზავრა, სადაც თურქ თანატოლებს სამ ამხანაგურ მატჩში შეხვდება. პირველი ორთაბრძოლა უკვე გაიმართა.

თურქეთი (17) — საქართველო (17) 27:17 (16:7)

თურქეთი: უზუნი, ოზთურქი, ოზქანი, მ. არსლანი — 11, ბოზნოგანი — 6, უიანი — 5, ტეზქორქმაზი — 1, ბინმიში — 1, ჩეთინი — 1, აქალინი — 1, ე. არსლანი — 1, შენსოზი, კალიონჯუოღლუ, ონდერი, დემირი, ალბაირაქი.

საქართველო: ვარდიშვილი, ჯავახია, ყაველაშვილი, გაბისონია — 5, ღვალაძე — 4, ჩოხელი — 3, გადელია — 2, ვენეცკი — 1, ყველაშვილი — 1, ბერიძე — 1, ქიტესაშვილი, ჩოგოვაძე, მიხელიძე, კუნელაშვილი, მორჩაძე, თეთრაშვილი.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ლეო მესის ვენეციური ქორწილი

არის რაღაცეები, რაზეც მამაკაცები იშვიათად ფიქრობენ და იშვიათად იწუხებენ მსგავსი თემების განსჯით თავს. ასეთ საკითხებში ქალბატონები ბევრად კომპეტენტურები არიან და ეს მარტივი აქსიომა ცნობილ და საყოველთაოდ პოპულარულ ადამიანებზეც ვრცელდება.

წარმოგიდგენიათ, ლეო მესიმ რომ დაიწყოს საქორწინო ადგილის შერჩევა და საცოლის საპატარძლო კაბის არჩევაზე მოცდეს? ხომ რთულად წარმოსადგენია? ჰოდა, რაკი, ბოლოს და ბოლოს, დაადგა საშველი მესისა და ანტონელა როკუზოს ქორწინების ამბავს, ყველა საკითხის დეტალურად მოგვარება საკუთარ თავზე ლეოს გულისსწორმა აიღო.

როგორ იცით, ანტონელა ლეოსგან მეორე შვილს ელოდება და ლეომაც საყვარელი ქალის ქორწილით დასაჩუქრება გადაწყვიტა. ქორწილი ამ ზაფხულს ვენეციაში შედგება. ლეო მესის სურს, რომ წვეულება გრანდიოზული იყოს და ვენეციის საუკეთესო რესტორანი დახურონ.

მე თქვენ გეტყვით და, გაუჭირდება ამის გაკეთება...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კარატე

„ოქროს“ მალე იქნება

ჩვენ სისტემატურად გამცნობთ საქართველოს შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის ნაკრების წევრთა მიერ საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული წარმატებების შესახებ. გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონის სტარტია, რომელიც მთლიანობაში 3 ვერცხლითა და 3 ბრინჯაოთი დაგვირგვინდა.

შეგირდთა მიღწევების ფონზეც კი განსაკუთრებით აღსანიშნავია კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორის მზეჭაბუკ მახარაძის მონაგარი, რომელმაც მეორე ადგილები დაიკავა როგორც ლიტვის ქალაქ შიაულიაიში გამართულ ბალტიისპირეთის ქვეყნების ღია საერთაშორისო ჩემპიონატში (უფროსები, ინდივიდუალური კატა), ისე პრესტიჟულ „ბულდოგის თასის“ XXV გათამაშებაში, რომელსაც ესტონეთის დედაქალაქმა ტალინმა უმასპინძლა (უფროსები, ინდივიდუალური კატა და ვეტერანები, ინდივიდუალური კუმიტე, აბსოლუტური წონა), აგრეთვე პოლონეთის ქალაქ ლოძში, სადაც მეთერთმეტედ გათამაშდა მსოფლიოს საკლუბო თასი (უფროსები, ინდივიდუალური კატა, III ადგილი).

ოსტატს ჩინებურად აუბეს მხარი შეგირდებმა — თენგიზ მაზმიშვილმა და ლევან გელდიაშვილმა, რომლებიც მესამე პრიზიორები გახდნენ, შესაბამისად, ლიტვაში (14-15 წლიანები, ინდივიდუალური კუმიტე, +65 კგ) და ესტონეთში (უფროსები, ინდივიდუალური კუმიტე, — 75 კგ.).

რაც შეეხება პერსპექტივას, ქართველი კარატისტები ჯერ 28-29 მარტს მოსკოვში „ა“ კლასის საერთაშორისო ტურნირში „შოტოკანის თასზე“ იასპარეზებენ, ხოლო აპრილის შუა რიცხვებში ქუთაისში ეროვნულ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

ტულუზაში – კლერმონის გავლით

საფრანგეთის ქალაქი ტულუზა 26 მარტიდან 5 აპრილამდე 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატის ელიტდივიზიონის გათამაშებას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ჩაებმება საქართველოს ნაკრებიც (გურამ პაპიძე („ყოჩები“), უშანგი ჭეიშვილი, ზაალ ცქიფურიშვილი („აია“), გიორგი ელისაშვილი („იუნკრები“), ლევან ჭავჭავაძე („არმია“), ლაშა ტაბიძე („არმაზი“), ჯემალ შათირიშვილი („ლოკომოტივი“), ბექა საღინაძე („ლელო“), გიორგი ფრიდონიშვილი („არმაზი“), სანდრო მამამთავრიშვილი („იუნკრები“), ერეკლე მაჭარაშვილი, თორნიკე აქუბარდია („ხარები“), ილია სპანდერაშვილი („არმია“), შოთა არეშიძე, ელგუჯა კიკვაძე (ორივე — „აია“), გელა აფრასიძე („იუნკრები“), დავით მოძღვრიშვილი („აკადემია“), ბექა მამუკაშვილი („ლელო“), სანდრო სვანიძე („არმაზი“), გიორგი კვესელაძე („იუნკრები“), გიორგი გოგოლაძე („არმია“), საბა სვიმონიშვილი („ყოჩები“), ლადო მიმინოშვილი („ბათუმი“), დავით მესხი („არმია“), გელა ელოშვილი („ლოკომოტივი“), მირიან მოდებაძე („აია“), მწვრთნელები — დავით ჩავლეიშვილი და მამუკა ტყეშელაშვილი), რომელიც პირველ შეხვედრას ირლანდიის ნაკრებთან 27 მარტს გამართავს. ამ ტურნირისთვის საწვრთნელი შეკრება ჩვენმა ბიჭებმა 28 თებერვალს დაასრულეს, შემდეგ ორი საკონტროლო მატჩი გამართეს და გუშინწინ საფრანგეთში გაემგზავრნენ, სადაც ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით „კლერმონის“ აკადემიის თანატოლთა და სათადარიგო გუნდებთან ითამაშებენ.



27 მარტს საქართველო-ირლანდიის მატჩის გარდა, კიდევ სამი მეოთხედფინალური პაექრობა გაიმართება: ინგლისი-პორტუგალია, უელსი-იტალია, საფრანგეთი-შოტლანდია.

ლაშა დიდია

სურათზე: საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები.

◎ ვითარება

ჩაითვლება თუ არა თურქული ნედლეულით დამზადებული პროდუქცია ქართულად?

და, რაც მთავარია, დაინტერესდებიან თურქული კომპანიები ამით?

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედებამ, საქართველოში პროდუქციის საწარმოებლად განსაკუთრებით იმ ქვეყნების ინვესტორებისთვის შექმნა სერიოზული ფონი, რომელთაც ევროპის ბაზრებზე პროდუქტის შეტანა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით არ შეუძლიათ. თუმცა იმისათვის, რომ პროდუქტი თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს დაექვემდებაროს, ის ევროკავშირის მკაცრი კრიტერიუმების ფარგლებში უნდა მოექცეს და სხვა მოთხოვნებთან ერთად, წარმოშობის განსაზღვრული მოთხოვნებიც დააკმაყოფილოს. როგორც ეკონომიკის სფეროს ექსპერტი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე აცხადებს, მას შემდეგ, რაც გაფორმდა ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის ფორმირების თაობაზე, პროდუქციის ადგილწარმოშობის შესახებ საკითხი მნიშვნელოვანი გახდა. „ევროკავშირმა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ერთი ქვეყნიდან მეორეში პროდუქციის შეტანა, მისი ხელახლა შეფუთვა და შემდეგ ამ უკანასკნელი ქვეყნის სახელით მისი ბაზარზე გატანა, შესაბამისი ნორმები დაწესა“, — ამბობს გიორგი ღაღანიძე.

ამ ბარიერებთან გამკლავებისა და საქართველოს მწირი სანედლეულო ბაზრის გაფართოების მიზნით, ქართულმა მხარემ ევროკავშირთან მიაღწია შეთანხმებას „დიაგონალური კუმულაციის“ პრინციპზე, რომელიც უახლოეს მომავალში საქართველოში თურქული ნედლეულით წარმოებულ პროდუქციაზე ამოქმედდება. საუბარია მხოლოდ ინდუსტრიულ ნედლეულზე. „დიაგონალური კუმულაცია“ საერთაშორისო ვაჭრობის ერთგვარი პრინციპია და იმ ქვეყნებს შორის მოქმედებს, რომელთაც ერთმანეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება აქვთ გაფორმებული. მისი ამოქმედება ორზე მეტი ქვეყნის ჩართულობას მოითხოვს. პროდუქტი კი ითვლება იმ ქვეყანაში დამზადებულად, სადაც ის შეიქმნა და საბოლოო სახე მიიღო. „ამ მექანიზმის ასამოქმედებლად სამი სახელმწიფოს თანხმობაა საჭირო. ევროკავშირთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ თურქეთთან „დიაგონალური კუმულაციის“ შესაძლებლობა ხელშეკრულებაში ჩადებულიყო. თურქები დაინტერესებულები არიან ხელშეკრულების იმ ფორმით გამოყენებით, რომელიც სამივე მხარისთვის მისაღები იქნება“, — ამბობს ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ გაბუნია.

დღეს საქართველოში მოქმედ თურქულ კომპანიებს ევროპის ბაზარზე პროდუქტი თურქეთის გავლით გააქვთ, „დიაგონალური კუმულაციის პრინციპით“ კი თურქეთიდან იმპორტირებული ნედლეულით საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე გავა სავაჭრო ნიშნით — „დამზადებულია საქართველოში“. ეს საშუალებას მისცემს თურქულ კომპანიებს თურქეთიდან შემოტანილი ნედლეულით ჩვენს ქვეყანაში დამზადებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე დაუბეგრავად, გადასახადებისა და კვოტების გარეშე, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებში გაიტანონ. ამ პრინციპით სარგებლობისთვის აუცილებელია საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ამის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. შეთანხმების შემთხვევაში, ახალმა ხელშეკრულებამ რატიფიცირება ორივე ქვეყნის პარლამენტში უნდა გაიაროს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მხარე მზად არის, ჩაერთოს ამ პროცესში, ჯერჯერობით, მაინც უცნობია, რა დრო დასჭირდება პროცედურული საკითხების მოგვარებას და როდის შევა ეს ინიციატივა ძალაში.

თუმცა, როგორც მარიამ გაბუნია აცხადებს, თურქეთის ხელისუფლებისგან მათ უკვე მიიღეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში შესატან ცვლილებათა პაკეტი და მისი შესწავლა-დამუშავების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. მისი თქმით, ქართული მხარე ყველანაირად ეცდება, პროცესი რაც შეიძლება სწრაფ ტემპებში წარიმართოს. „დიაგონალური კუმულაციის“ ამოქმედებით ყველაზე მეტად ტექსტილის ბაზარია დაინტერესებული, ვინაიდან დღეს საქართველოში თურქული ინვესტიციებით გახსნილი ექვსი ტექსტილის კომპანია მუშაობს. ეს კომპანიები თურქეთიდან შემოტანილი ნედლეულით პროდუქტს საქართველოში აწარმოებენ, შემდეგ კი ისევ თურქეთის გავლით ევროკავშირის ბაზარზე გააქვთ. როგორც საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში აცხადებენ, ისინი ამ გადაწყვეტილების მოლოდინში არიან.

გიორგი ღაღანიძის თქმით, ეს მარტივად მოსაგვარებელი საკითხი არ იქნება. მისი აზრით, ძირითადი სირთულე თურქეთისთვის ტრანსპორტირების სიძვირეა და მიაჩნია, რომ თუ თურქულ კომპანიებს კარგი პირობები არ შევთავაზეთ, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯების გამო ისინი არ დაინტერესდებიან საქართველოში ნედლეულის შემოტანით და პროდუქციის წარმოებით: **„თურქეთი ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე ჩვენზე წინ არის და უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება. ის ევროპის საბაჟო კავშირის წევრია. ჩვენ ვცდილობთ, ევროკავშირთან თავისუფალი, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო არეალის ფორმირების ხელშეკრულება ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. თურქულმა კომპანიამ თურქული ნედლეულით საქართველოში პროდუქცია გადაამუშაოს და აქედან ყველა იმ უპირატესობებით გაიტანოს, რასაც მას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შეთანხმება ანიჭებს. მნიშვნელოვანია ის, რომ იმ ქვეყნის ნედლეულით, რომელიც არ არის ევროკავშირთან საბაჟო კავშირში, ეს ვერ მოხერხდება. ვფიქრობ, რომ ეს მარტივად მოსაგვარებელი საკითხი არ იქნება. ტრანსპორტირება ძვირი დაჯდება. თურქეთიდან ევროკავშირი ჩრდილო-დასავლეთით იმყოფება. ჩვენ კი ჩრდილო-აღმოსავლეთით ვართ. ტრანსპორტირებების მიმართულებები არ ემთხვევა. ამ შემთხვევაში თურქეთიდან ტვირთი ჯერ აღმოსავლეთით უნდა წამოვიდეს, მერე ისევ დასავლეთით. დასაფიქრებელია, იქნება თუ არა თურქული კომპანიებისთვის ყოველივე ეს ხელსაყრელი. ძალიან კარგი პირობების შექმნა გახდება საჭირო, რომ ეს მათთვის იყოს მომგებიანი — იაფად გადაამუშაონ პროდუქცია და ტრანსპორტირების ორმაგი დანახარჯი გადაფარონ. არავინ არაფერს გვაჩუქებს. ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ რომელიმე თურქული კომპანია დაინტერესდება საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის საკითხებით.“**

ნონა ბურნაძე

სულთათანა

მოსე მდინარაძე

კიდევ ერთი ლეგენდარული კაცი გამოაკლდა ქვეყანას

საქართველოს საზოგადოებამ და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანულმა ორგანიზაციებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. ჩვენს რიგებს გამოაკლდა მხედრული ტრადიციების ოჯახში აღზრდილი უკეთილშობილესი ადამიანი, საზოგადო მოღვაწე და ღირსეული მამულიშვილი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე, სახელოვანი ბერმუხა, ვახტანგ გორგასლის სამივე ხარისხის ორდენის, ღირსების ორდენის, წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის, სამი წითელი ვარსკვლავის ორდენის და მრავალი სხვა საბრძოლო მედლის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, გადამდგარი პოლკოვნიკი **მოსე ჯიმშეთის ძე მდინარაძე**.

ბატონი მოსე მდინარაძე ფაშიზმთან ომის დაწყების პირველივე დღიდან უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, მან სწრაფად აითვისა სამხედრო თეორიისა და ტაქტიკის მეთოდები, რის გამოც არმიის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის ასაკში დაინიშნა ერთ-ერთი მოწინავე პოლკის მეთაურად, რაც იმ პერიოდში იშვიათი შემთხვევა იყო.

1944 წლის ივნისში მისმა პოლკმა გაარღვია გერმანელ ფაშისტთა თავდაცვის ხაზი და პირველი გავიდა სახელმწიფო საზღვარზე, მაგრამ იგი ამ ბრძოლაში დაიჭრა და 9 თვე ჰოსპიტალში იწვა, საიდანაც ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობებით დაუბრუნდა თავის დივიზიას, რომელიც მონღოლეთის ტერიტორიაზე ბაიკალისპირეთის ფრონტის შემადგენლობაში იმყოფებოდა. მოსე მდინარაძის მეთაურობით პოლკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იაპონიის კვანტუნის არმიის დამარცხებაში.

ომის დამთავრების შემდეგ ბატონი მოსე განაგრძობდა სამსახურს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დისლოცირებული საბჭოთა შეიარაღებული ძალების შენაერთების შემადგენლობაში, საიდანაც გადმოიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. ის სხვადასხვა დროს წარმატებით ასრულებდა სამხედრო კომისრის მოვალეობას ქუთაისში, ჭიათურაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისის 26 კომისრის რაიონში.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, მოსე მდინარაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს ერთ-ერთ სამმართველოს, აქტიურად მუშაობდა დედაქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციაში.

1995 წლიდან იგი აქტიურად ჩაება ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობაში. არჩეული იყო თბილისის ვეტერანთა ვაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, თბილისის ვეტერანთა საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 2004 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ომის ვეტერანთა საქალაქო კავშირის გამგეობას, სადაც მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას ვეტერანთა სოციალური დაცვის, მათი კეთილდღეობის ამაღლების, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მამულიშვილურ საქმეს ახმარდა.

ბატონი მოსე გულისხმიერი და დიდი ტაქტის მქონე ადამიანი იყო. მისი სიდინჯე, აუჩქარებლობა და მაღალი რანგის დიპლომატებისათვის დამახასიათებელი მოზომილი სიტყვა-პასუხი კიდევ უფრო ზრდიდა მისადმი პატივისცემას.

ქ.თბილისის საპატიო მოქალაქის ბატონი მოსე მდინარაძის დაღუპვამ დიდი მწუხარება და დანაკლისი მოუტანა მის ოჯახს, ქვეყანაში მცხოვრებ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, ფართო საზოგადოებას და მისი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მათ გულებში.

ირაკლი შიხიაშვილი, მიხეილ ხომერიკი, რევაზ ნაცარიშვილი, ტიტე ლეფსაია, უშანგი შერმაზანაშვილი, გურამ გვეტაძე, ვახტანგ ჯაფარიძე, გიორგი ხაზარაძე, დავით იაკობაშვილი, ტარასი იჩიტიძე, შოთა ბუაძე, სერგო მირზოიანი, მანანა არევაძე, რეზო თოიძე, შოთა ვაშაკიძე, თეიმურაზ სიმონიშვილი, გოჩა ბაძრაძე, როზა ოსეფაიშვილი, გაიოზ ხუციშვილი, მითრიდატე ჭანტურია, იაგო გოგსაძე, აპოლონ ჩიჩხაშვილი.

◎ ინფორმაცია

გამოავლინეს არარეგისტრირებული სახერხი საამქროები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთ ცენტრალური სამსახურის თანამშრომლებმა ე.წ. ცხელ წერტილებში პრევენციული ღონისძიებების გატარებისას სამი უკანონო, არარეგისტრირებული სახერხი საამქრო გამოავლინეს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტში აღმოჩენილი ამავე საამქროების ტერიტორიაზე ნაპოვნი სხვადასხვა ჯიშის და მოცულობის უკანონოდ მოპოვებული 18 ერთეული მორი და პირველადი გადამუშავების პროდუქტი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახერხი დანადგარები დალუქეს. სამართალდამრღვევებს კი ჩამოერთვათ უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე.

ლია, გურამ გვეტაძეები გულისტკივილით ემშვიდობებიან ღირსეულ მამულიშვილს, თბილისის საპატიო მოქალაქეს

მოსე მდინარაძეს

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ჩვენი კარაბადინი

რა არის ართროზი

განვსაზღვროთ დაავადება და ისიც, თუ როგორ ვიმკურნალოთ

სახსრების დაავადებანი ძნელად სამკურნალო სენებია. რა არის საჭირო მათი წარმატებული მკურნალობისთვის?

პაციენტის შეკითხვებს ექიმი-ორთოპედი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ სტაჟაძე უპასუხებს.

რითი განსხვავდება ართროზი ართრიტისგან?

ართროზი – ეს დეგენერატიული დაავადებაა. ართრიტი – ანთებითი დაავადება, რომელიც ინფექციებითაა გამოწვეული. ართროზის დამახასიათებელი სიმპტომებია – ტკივილი გადატვირთვის დროს, რომელიც სიმშვიდის დროს წყნარდება, მოძრაობის შეზღუდვა და ტკაცუნი სახსრებში, სახსრების თანდათანობითი დეფორმაცია.

რომელი სახსრები იტანჯება ყველაზე ხშირად ართროზის დროს?

ართროზის დროს ყველაზე ხშირად ზიანდება მუხლისა (ჰონართროზი) და მენჯ-ბარძაყის (კოკსართროზი) სახსრები. ეს დაავადებანი დაკავშირებულია სახსრების ხრტილის დაზიანებასთან, რომელიც ფარავს ძვლების ბოლოებს მათი შეერთების ადგილას.

შეიძლება თუ არა მთლიანად განიკურნოს ართროზი?

ეს დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე. ართროზის საწყის სტადიებზე (0-I სტადიები) დაავადება შეიძლება „დავაკონსერვოთ“ კომპლექსური მკურნალობის მეშვეობით, და დაავადების აღარანაირი სიმპტომი აღარ იქნება. შემდგომ სტადიებზე (II-IV სტადიები) დაზიანებული ხრტილის აღდგენას ვეღარ შევძლებთ. თუმცა, შეიძლება შევინარჩუნოთ პაციენტის ცხოვრების მისაღები ხარისხი.

როგორ კომპლექსურ მკურნალობაზეა საუბარი?

იგი მოიცავს: 1) სამკურნალო პრეპარატები

ხშირად უნიშნავენ არასტეროიდულ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებს, სისხლძარღვთა გამაფართოებელ საშუალებებს. ხშირად უნიშნავენ ასევე ქონდროპროტექტორებს. ზოგჯერ სახსარშიდა ინიექციებს მიმართავენ. საერთოდ ართროზის დროს სამკურნალო პრეპარატების გამოყენება უფრო მეტ შეკითხვას იწვევს, ვიდრე პასუხებს იძლეოდნენ, ვინაიდან წამლების უმეტესობა დროებით ეფექტს იძლევა, აჩქარებს დაავადების პროგრესირებას მთლიანად.

2. ფიზიოთერაპია

ართროზის დროს სასარგებლოა და ეფექტიანი მაგნიტოთერაპია. მას ნორმაში მოჰყავს სისხლის მიმოქცევა სახსრების მიდამოებში და ხსნის მასთან საკვებ ნივთიერებათა შეღწევას, რომლებიც აუცილებელია ხრტილის მშენებლობისთვის, აგრეთვე ნორმაში მოჰყავს ნარჩენებისა და ანთებითი პროდუქტების გამოყოფა. მაგნიტურ ველს აქვს გამოკვეთილი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, რაც იძლევა შესაძლებლობას არ გამოვიყენოთ ანალგეტიკური საშუალებანი. ხრტილი იწყებს უკეთ კვებას, სწრაფად თავისუფლდება ნარჩენებისგან, ნელდება მისი დანგრევა. მაგნიტოთერაპია ასეთსავე ეფექტს იძლევა ოსტეოქონდროზის დროსაც, ვინაიდან მალის აგებულება და სახსრების აგებულება ჰგავს ერთმანეთს და დაავადების მიზეზიც ერთნაირია.

თუ მაგნიტოთერაპიას იყენებენ წამლების თერაპიის ფონზე, იგი აძლიერებს წამლების მოქმედებას, რაც იძლევა საშუალებას შევამციროთ მათი დოზა და შევკვეცოთ მიღების ხანგრძლივობა.

◎ იცოდით?

ჰერპესი ციფრებსა და ფაქტებში

ჰერპესი – ესაა გავრცელებული დაავადება, რომლის გამომწვევიც მარტივი ჰერპესის ვირუსია.

დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 90 პროცენტი მარტივი ჰერპესის ვირუსითაა დაავადებული, მაგრამ 80 პროცენტში დაავადება მიმდინარეობს აშკარა სიმპტომების გარეშე, მათ შეიძლება არც იცოდნენ მის შესახებ და გადადებენ ამ დაავადებას სხვა ადამიანებს.



ჰერპესის ვირუსის 8 ტიპს გამოყოფენ მეცნიერები. I ტიპის მარტივი ჰერპესი ტუჩებზე ბუშტების მიზეზია. II ტიპის მარტივი ჰერპესი იწვევს გამონაყარს გენიტალიებზე. ჩუტყვავილას და გარსშემორტყმული სისველის მიზეზი – III ტიპის ვირუსია. ებშტეინ-ბარის ვირუსი – V ტიპი – ინფექციურ მონონუკლეოზს იწვევს. ხოლო ციტომეგალოვირუსს – V ტიპი.

VI, VII და VIII ტიპების მნიშვნელობა ბოლომდე გარკვეული არ არის. ვარაუდობენ, რომ ისინი ქრონიკული დაღლილობის სინდრომში, მოულოდნელ გამონაყარში ასრულებენ როლს...

ჰერპესის ვირუსი ცელსიუსით 70 გრადუსის ტემპერატურის დროს სიცოცხლისუნარიანობას 5 დღე-ღამის განმავლობაში ინარჩუნებს. 2 საათი ცოცხლობს ლითონის ზედაპირზე (მონეტებზე, კარის სახელურებზე, წყალსადენის ონკანებზე), 6 საათამდე – სველ ბამბაზე და ბინტზე.

60 პროცენტი – ასეთია ვირუსის გადაცემის რისკი დედიდან ბავშვზე,თუ დედას იგი უშუალოდ მშობიარობის წინ შეეყარა. წყლულების არარსეობის დროს ნაყოფის დასნებოვნების რისკი დედას 1 პროცენტზე ნაკლები აქვს.

დაავადება თავის განვითარებაში 4 ეტაპს გადის. ჯერ არის ქავილი პირის ღრუში ან გენიტალიებზე, შემდეგ – მტკივნეული ბუშტის გაჩენა, რომელშიც არის სითხე. შემდეგ ბუშტის ადგილზე ჩნდება პატარა წყლული. ამ მომენტში ავადმყოფი ძალიან გადამდებია. და პატარა წყლულის ქვეშ ჩნდება ფუფხი.

როდესაც ერთხელ ორგანიზმში მოხვდება, ჰერპესის ვირუსი იქ სამუდამოდ რჩება. იგი სამკურნალო პრეპარატების ყველაზე ძნელად მისადგომ ადგილზე – ნერვულ ქსოვილში ცხოვრობს.

ყველაფერს, რაც იმუნურ სისტემას ასუსტებს, შეუძლია მიგვიყვანოს ჰერპესის რეციდივთან – ესენია ფიზიკური და ფსიქიკური სტრესი, დაღლილობა, გაცივება...

დედისგან ნაყოფის დასნეოვნებამ გენიტალური ჰერპესით შეიძლება ბავშვის განვითარების მანკამდე მიგვიყვანოს.

100 წლით ადრე ჩვენს ერამდე ჰერპესის შესახებ წერდა ჰეროდოტე: სწორედ „ისტორიის მამამ“ მისცა დაავადებას თანამედროვე სახელწოდება (ბერძნული სიტყვიდან „herpein“, რაც ცოცვას ნიშნავს) – ჰერპესული წყლულების უნარის გამო „იცოცოს“ კანზე პირველადი ბუშტებიდან.

აფთიაქი

ჰერპესის მკურნალობისთვის რამდენიმე ტიპის პრეპარატებს იყენებენ. ყველაზე გავრცელებულია – მოქმედი ნივთიერება აციკლოვირის საფუძველზე. მათ კრემის, თვალის საცხის, აბებისა და ხსნარების სახით უშვებენ ვენების შიგნით შესაყვანად. ისინი ეფექტიანია მარტივი ჰერპესის, გენიტალური ჰერპესის, ჩუტყვავილას დროს.

უფრო თანამედროვე ჰერპესსაწინააღმდეგო პრეპარატებია – მოქმედ ნივთიერება ვალაციკლოვირის საფუძველზე. უშვებენ მხოლოდ აბების სახით. აითვისება უკეთ (57 პროცენტი), ვიდრე აბები აციკლოვირებით (20 პროცენტით).

საცხი პენციკლოვირით უფრო ეფექტიანია, ვიდრე საცხი აციკლოვირით გამონაყარის უფრო გვიანდელ სტადიებში. და მოქმედებს უფრო დიდხანს.

ახალი პრეპარატი – საცხი ალოსტატინით – აძლიერებს კანის ადგილობრივ იმუნიტეტს. იყენებენ ჰერპესის პირველი ნიშნების დროს: ქავილი, კანის შეწითლება.

ყურადღება!

2015 წლის 20 მარტს (პარასკევს), 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. აკადემიის პრეზიდენტის პროფესორ თეიმურაზ ბაბუნაშვილის ანგარიში აკადემიის მიერ გაწეული ერთი წლის მუშაობის შესახებ.

2. აზერბაიჯანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კათედრის გამგის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს

ფიზული მამედოვის

მოხსენება თემაზე: „აზერბაიჯანსა და საქართველოში საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები“.

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სხდომათა დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული), დასწრება თავისუფალია.

აკადემიის პრეზიდიუმი

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ინცინცხალი ანეკდოტები

– იძნებ მირჩიო, რა ვუყიდო ცოლს დაბადების დღისთვის?

– უმჯობესი არ არის, რომ ეს თავად მას ჰკითხო?

– ეჰ... მაგდენი ფული სადა მაქვს...

* * *

– შემთხვევითი კავშირები გქონია? – ეკითხება გინეკოლოგი პაციენტს.

– ჩემს ქმართან ისე იშვიათად მაქვს სექსი, რომ ეს კავშირი შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს...

* * *

– მიხო, რად არ იყავი გუშინ სკოლაში?

– ჩემი ძმა იყო ავად.

– მერე შენ რა შუაში იყავი?

– მის ველოსიპედს დავაქროლებდი!

* * *

– ალო, ეს პოლიციაა?

– დიახ.

– ჩემი მეზობელი მარიხუანას ყიდის.

– ჰო? და რამდენად?

– ერთ კოლოფს ას დოლარად.

– არ არის ძვირი, აიღეთ!

* * *

– იცი ზღაპარი ბაყბაყდევზე?

– არა.

– ცუდია. სიამოვნებით მოგისმენდი.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24